

მიხედვეთ მინას; მინა დაგამურებოთ და გაგონობით თქვენ!

+ ასო — 7

# ეპისტოლები სასამართლო

ISSN 1987-8729



9 771 987 872003

სამართლო-საინფორმაციო ჟურნალი

№7 (118), 03 ლის, 2022



მისამართი:

თბილისი, ქეთევან წამებულის 77, მეტრო სამგორთან.

599 87 34 07



## ადგილობრივი მესაქონლეობის განვითარების პროექტი

**"ინკასტირება უვნებელ და  
ხარისხიან მესაქონლეობაში" (SQIL)**  
შედგება 6 პომპონისგან:

- ① ჩაისა და ხოხცის სექტორის ბაზარზე ხედისაწვდომობის ზრდა
- ② სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების ზრდა
- ③ წარმოების შემდგომი დამუშავება და შენახვა
- ④ სუბსათის უვნებლობის პოდიტიკის განვითარების მიზნით შესაძლებლობების ზრდა
- ⑤ ფინანსურ სექტორის ხედისაწვდომობის ზრდა
- ⑥ პროდუქტიულობის ზრდა



პროექტის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად,  
დაგვიხევობრდით FACEBOOK გვერდზე: "ინკასტირება  
უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში - SQIL GEORGIA"

პროექტი „ინკასტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორით,  
ამერიკის სოფლის მეურნეობის გეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით.

**ახალი აგრარული  
საქართველო**  
**AKHALI AGRARULI SAQARTVELO**  
(New Agrarian Georgia)  
ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინიციატიურო ჟურნალი.  
Monthly scientific-informative magazine  
ივლისი, 2022 წელი.  
**№7 (118)**

**სარედაქციო კრება:**  
შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგბარ ებარიძე მახვილ სოხაძე, ნუსტან  
გუგუშვილი, თამარ სანიკიძე, რესულან  
გვამშელი (კონსულტატორი), ოვანა ნოზაძე,  
ნუგბარ ოქროპირიძე, ხოდარ ბრეგვაძე,  
გორგა ბარისაშვილი (მეცნიერება-  
მეცნიერების რედაქტორის რედაქტორი),  
ნატო ჯაბახიძე, დავით ბარიძე (რედაქტორი),  
მახმად ხაბარებების კორესპონდენტი  
(ელ. ფუნქცია agronews.ge-ს კონსულტატორი)  
თამა გუგუშვილი (მხატ. ვერ. რედაქტორი).  
editor of English version Tamta Gugushvili

**სამეცნიერო საბჭო:**  
აკადემიკოსები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რევაზ პახარიძე მაკარიძე, რევაზ  
გურაძე ალექსიძე გვარ ჯაფარიძე,  
ზურ ფუტკარაძე, ხიდარ ჩხარტიშვილი,  
ნუგბარ ებარიძე, პატა კოლუმბიძე,  
ელიტა მაცეკიძე, ზურა ბრეგვაძე,  
ელიტა გუგუშვილი, გოგოლა მარგველაშვილი,  
ანა გულბანი, ლევან უჯმაჯურიძე,  
ადოლ ტემშელოვილი, ნატო კახაძე,  
კაკურა ტერია, კახა ლაშვი,  
ჯემალ კაციაძე, ნუკა მემარიშვილი,  
ნიკოლაზ ზახაშვილი, მახვილ ჭიჭავა,  
დავით ბისტაშვილი, რეზო ჯაბახიძე,  
იოსებ სარჯველაძე, თენგიზ ჭურაშვილი,  
ანატოლი გორგაძე, მურად გარუბავა,  
ზურაბ ლოლაძე, კაბა კობალიძე.

დააკადამიანა გიორგი მაისურაძემ  
ჟურნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.  
The journal acts in accordance with the principles of free press.  
© საკართვო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა**  
„იურიული ბაბლონიუმა“  
(კოლექტური ბაბლონიუმა)  
[www.dsplace.nplg.gov.ge](http://www.dsplace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქართველო  
დაბაშვილ შპს „გამოსაქმილობა გრიფონში“

**გამოცემა:**  
„აგრარული სექტორის ასოციაცია“ (ასკა);  
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული კულტურული  
კრითიკულების კლეიპიდი ცენტრი „რეგიონიკა“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/ტელ: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31  
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53  
[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)  
ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

## ცოდნული ციტაციები:

საქართველოს უზრუნველყოფა,

**4 უსაფრთხოების ქვეყნისაზე**

ინდუსტრიის სამსახური

**5 განვითარების რეფორმის  
საქართველოს რეგიონებში**



„სიცოდურის უზრუნველყოფა“ (SQL)

**14 ფრთხილი, კრაზისი!**

უფასო ტექნიკი დამზადება

ეზიქიტების დამზადებაში

**17 რეისა და რეის პროცესის  
მართვაბლებისათვის**

HACCP-ის უზიტის

**20 დაცვისასთა დაკაშირების  
საშუალებელი**

**10**



სერივისაგან ვაზის  
სამსახური დაცვა

ასეთ შემთხვევებში მაშინვე ლოგი-  
კურად ისმება კითხვა.. თუ რატომ არ  
იმუშავა, ამ მრავალმილიონიანი ღი-  
რებულების სისტემამ“.

**21 პროცესობი  
გაზირ დოგანი**

**22 როგორები  
ცოდლის გაურიცხვაში**

**25 ერთი ფორმის ისტორია**

**25 კაპის მურასის წარმოების  
კლასიკური ტექნიკობის**

**28 მეცნიერების ზონების ტრანსფორმი  
გამოყოფი**

**31 რზონის გამოყენება  
გადამოხატვის**

დაისახის აღმართები

**32 ვირუსის ანტივირუსის გამოყენება  
საქართველოს აიროგაზი**

**33 გაეთ კითხვა ვარენიცას?**

**34 გაეთ კითხვა აპროცესობა?**

## შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

- უზრუნველყოფილი გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს სოფლის მეურნეობის თეორიულ და გამოყენებით სფეროებში;
- მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქტო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო;
- სტატიები მიღება ქართულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ, ენებზე. სტატია გა-  
მოქვეყნდება დენის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მინიმალური მოცულობა 2,5 მაქსიმალური 7 გვერდს, A4 ფორმატი;
- რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან ინგლისურ (აუცილებლად) ენებზე (100-200 სიტყვა);
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. სარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- სტატიის შესავალი, ძირითადი ტექსტი და დასკვნითი ნაწილი;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქართული ტექსტის სიტყვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი (sylifaen) სილიფანი, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, კიდება დაშორება 2,5 სმ.



## სასურსათო უზრუნველყოფა, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების ქვეყნის ეკაუთხედი

აღნიშნულის გამო მსოფლიოში ბოლო ათწლეულებში გამოიკვეთა მარცვლეულის ფასების პერმანენტული ზრდის ტენდენცია.

— 1980-იანი წლების დასახწყისთან შედარებით 1 ტონა ხორბლის საერთაშორისო ფასი 2.6-ჯერ გაიზიარდა -113.5 აშშ დოლარიდან 299.3 აშშ დოლარამდე და ეს ზღვარი არ არის. შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ მსოფლიოში იაფი საკვების ეპოქა, მათ შორის იაფი პურის ეპოქა, დასრულდა.

მარცვალი, როგორც სტრატეგიული საქონელი, მარტო თითოეული ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარ გარანტია, კი არა, არამედ მარცვლის იმპორტიორ ქვეყნებზე პოლიტიკური ზემოქმედების მძლავრ იარაღდაც ითვლება. არასასურველი კლიმატური პირობები, აგრეთვე ომი რუსეთ-უკრაინას შორის, რომლებზეც მოდიოდა მსოფლიო მარცვლეულის ექსპორტის 25 პროცენტზე მეტი, ნებატიურად აისახება მარცვლეულის მსოფლიო ვაჭრობაზე, მის რეზერვებსა და ფასებზე.

მარცვლეულის მსოფლიო მარაგების თანაფარდობა გლობალურ მოხმარებასთან 2022 წლისთვის 2017 წლის შედარებით შემცირდა 2.3 პუნქტით (31.9%-დან 29.6%-მდე).

სხვადასხვა აბიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით, სასურსათო პროდუქციის მსხვილი მნარმოებლებისა და ექსპორტიორების მიერ იზღუდება მარცვლეულის და ზოგიერთი სხვა სასურსათო პროდუქციის (მაგ., შაქრის) ექსპორტი. ეს შეზღუდვები ჯერჯერობით უფრო კონიუნქტურულია, ვიდრე სისტემური, თუმცა მათი უგულვებელყოფა ნამდვილად არ შეიძლება.

პოლო ითხე ათწლეულის ნლის მანძილზე მოსახლეობის მოსახლეობის 77.5%-ით გაიზარდა, მოსახლეობის ერთ ული ცარმობული მაჟაზესაც უზარმოებები – 70.7 აროვენტით, მაშინ როდესაც გარცვლეულის ცარმოება – მოლოდ 8.7 აროვენტით. მარცვლის განსაკუთრებით შეზღვარით ნაკლებგანვითარებულ და დარიგ ქვეყნები, შიგნილისა და პურზე ცვლომის პროგლოგამ კლების ნაცვლად გაფინანსირდა სიმარტინის შემთხვევაში.

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უშიშროების ორი ძირითადი კრიტერიუმია აღიარებული და ორივე მათგანი მარცვლეულს უკავშირდება. ესენია – მარცვლეულის გადაუდებელი მარაგები და მარცვლის ნარმოების მოცულობა მოსახლეობის ერთ ული გაანგარიშებით. პირველი ქმნის აუცილებელ გარანტიასა და სიმყარეს საგანგებო სიტუაციების დროს, ხოლო მეორე აჩვენებს მარცვლეულის იმპორტზე ამა თუ იმ ქვეყნის დამოკიდებულების ხარისხსა და დონეს (ქვეყანაში პურპროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე).

სამწუხაროდ, საქართველომ, როგორც მნარმოებელმა ქვეყანამ, ბოლო ათწლეულებში პოზიციები მკვეთრად დათმო. მარცვლეულის ნარმოება შემცირდა მოსახლეობის 1 ული 1950 წლის 223 კგ-დან 1980 წლის 121 კგ-მდე და 2021 წლისთვის – 116 კგ-მდე, მოსახლეობის ერთ ული გაანგარიშებით, 2021 წელს ხორბლის ნარმოებით 6.1-ჯერ ჩამორჩება 1950 წლის მაჩვენებელს, 3.3-ჯერ – 1980 წლის მაჩვენებელს და 4.2-ჯერ – 2003 წლის მაჩვენებელს.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, პოტენციურად დგას სასურსათო საფრთხის ნინაშე. უდავოა, რომ ხორბლის ნარმოებისა და მოხმარების ბალანსში არსებობს მწვავე დეფიციტი. რის გამოც მასზე გადახდისუნარიანი მოთხოვნა იმპორტის ხარჯზე ივსება. 2021 წლის ფასებით, 2000-2021 წლებში საქართველოში აგროსასურსათო საქონლის ექსპორტმა შეადგინა 13022.336 მლნ. აშშ დოლარი, იმპორტმა – 23523.903 მლნ. აშშ დოლარი, უარყოფითმა სავაჭრო სალდომ –

-10501.566 მლნ. აშშ დოლარი. ფაქტობრივად, ოცდამეერთე საუკუნეში არასაკმარისად განვითარებული აგრარული სექტორის გამო საქართველო იძულებული გახდა ყოველწლიურად დაახლოებით 1.2 მლრდ. აშშ დოლარის აგროსასურსათო საქონლის იმპორტი განეხორციელებინა, ხოლო ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ამ კატეგორიის უარყოფითმა საგარეო სავაჭრო სალდომ 2-ჯერ გადააჭარბა საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობას. თუმცა ამით სრულებითაც არ მოხსნილა ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. მაგალითად, ხორცითა და ხორცპროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა რაციონალური დონის მხოლოდ 60 პროცენტია.

ამასთან, ბოლო წლებში გარკვეული პოზიტიური ცვლილებები აშკარად შეინიშნება სასურსათო უსაფრთხოების მხრივ, კერძოდ, მცირდება აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი-იმპორტის უარყოფითი სალდო: ჯერ კიდევ 2012 წელს იგი შეადგინდა 758.8 მლნ. აშშ დოლარს, 2021 წლისთვის კი შემცირდა 212.0 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 3.6-ჯერ, ეს მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი კი არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა 1.4-ჯერ – 1780.0 მლნ. დოლარიდან 2496.0 მლნ. დოლარამდე. ამ პერიოდში – 2012 წლიდან 2021 წლამდე – აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი იმპორტის გადაფარვა გაიზარდა 40.2%-დან 84.3 პროცენტამდე.

მაგრამ, ესეც ვერ უზრუნველყოფს ჩვენი მოსახლეობის სურსათის ძირითადი სახელმწიფო მოსახლეობის

სარულ უზრუნველყოფას. მაგალითად, ქვეყანაში მოხმარებული ხორცის ნახევარიც კი არ არის ადგილობრივი წარმოების, დანარჩენი – იმპორტირებულია. – 2021 წლის მონაცემებით, ქვეყანაში წარმოებული იქნა 72.6 ათასი ტონა ხორცი, იმპორტმა კი შეადგინა 84.8 ათასი ტონა, ანუ ადგილობრივად წარმოებულზე 16.8 პროცენტით მეტი, მიუხედავად ამისა, ხორცისა და ხორცპროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე, როგორც ზემოთ აღინიშნა, 60 პროცენტს არ აღიმატება.

მარტო 2021 წელს საქართველომ  
მოახდინა 110 მლნ. აშშ დოლარის  
ხორცის იმპორტი, 65 მლნ. აშშ დო-  
ლარის – რძის პროდუქტების, 52  
მლნ. დოლარის – შაქრის, 46 მლნ. აშშ  
დოლარის – ზეთისა და ა.შ.

მხოლოდ მარცვლეულის იმპორტი საქართველოში, ფქვილის ჩათვლით, ბოლო წლებში 140-150 მლნ. აშშ დოლარს აღწევს. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ამ პროდუქციის მომზოდებელ ძირითად ქვეყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა, თანამედროვე საერთაშორისო კითარებისა და ამ ქვეყნისადმი დაწესებული საერთაშორისო სანქციების გათვალისწინებით, აღნიშნული ასპექტით გამოზვევებისა და რისკების დონე მნიშვნელოვნად

ବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ



# იცელუზის სამართლებრივი განვითარების რეფორმის საშარო დანართის რეგიონებში

მბლავრი ეკონომიკა არის დემოკ-  
რატიული სისტემის მთავარი საყ-  
რდენი, რაც ნათლად დასტურდება  
ეკონომისა და სხვა დემოკრატიული  
ქვეყნების მაგალითებით. მშერრი  
ქვეყანა ყოველთვის იქნება მოცული  
ანარქიით, იგი ვერანაირად ვერ იქნე-  
ბა დემოკრატიული და მხოლოდ დე-  
მოკრატის ცარიელი პრინციპების  
გაფეხტიშება არაფერს შეცვლის.

მისად ლარიბი ქვეყნები ლარიბებად  
რჩებიან, რასაც ძირითადად განაპი-  
რობებს ის გარემოება, რომ მცირე  
მეურნეების (რომლებიც დღეს სა-  
ქართველოს სოფლის მოსახლეობის  
აბსოლუტურ უმრავლესობას წარმო-  
ადგენენ) დაბალი შემოსავალების პი-  
რობებში რესურსების დაზოგვა აღ-  
ნარმოებისთვის შეუძლებელია, რად-  
გან მთელი შემოსავალი გამოიყენება  
სამომხმარებლი მიზნით. თუ დაზოგ-

ში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტი-  
ციებმა შეადგინა მხოლოდ 105 მლნ.  
აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს  
უძრავ ქონებაში – 1108 მლნ. აშშ დო-  
ლარი (10.6-ჯერ მეტი). იმის გათვა-  
ლისწინებით, რომ უძრავი ქონებაში  
ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნა-  
ნილის აფილირება ხდება მინასთან,  
როგორც საკუთრების ობიექტთან,  
შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს  
– ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის, მისი  
მინის, სავარგულებისა შეზღუდუ-  
ლობის გათვალისწინებით – ქართუ-  
ლი სახელმწიფოს მდგრადობისა და  
უსაფრთხოებისათვის სერიოზულ  
გამოწვევას ნარმოადგენს...

## ପ୍ରାଚୀ ଧରିବାରେ,

ვა არ ხდება, მაშინ ინვესტირების რე-  
სურსები არ არსებობს. გარდა ამისა,  
სუსატია მონეტიზაცია, რაც ბაზრის  
დავიწროების კიდევ ერთ მიზეზს  
წარმოადგენს. საქართველოში სიღა-  
რიბის გამო არ იქმნება კაპიტალი,  
რომელიც საკმარისი იქნება საინვეს-  
ტიციონ საქმისათვის, მოსახლეობის  
არსებული შემოსავლები კი თავისი  
ოდენობით ვერ ქმნის საინვესტიციო  
კლიმატს. შედეგად, სიღარიბე ექცე-



ვა ჯადოსნურ წრეში, ხოლო სახელმწიფო ექცევა რუტინულ ტყვეობაში და მოკლებულია შესაძლებლობებს – დაძლიოს შექმნილი გარემო. ამ პრობლემის მოგვარება, რაც პიდაპირ კავშირშია გამძაფრებული სოციალური პრობლემების მოგვარებასთან, ვერ შეძლო საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ, რაც მნიშვნელოვანნილად გახდა მათი ეკონომიკური პოლიტიკის და ზოგადად, მათი წარუმატებლობის მიზეზი.

საქართველოში დღეს არსებული სამენარმეო ურთიერთობები მეტად ვიწროა, რათა დაიტიოს მთელ მოსახლეობაში არსებული შრომითი, მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი, რაც არსებით ნეგატიურ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინკლუზიურ განვითარებაზე, არამედ ეკონომიკურ ზრდაზეც. დემოკრატიულმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას ორგანიზაციული და სამართლებრივი პირობები, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისთვის, რომელიც ჩაანაცვლებს მახინჯ სამენარმეო გარემოს, რაც ახშობს საზოგადოებას. ჩვენთან დემოკრატიად აღიქმება მხოლოდ პოლიტიკური დემოკრატია და ყურადღება არ ექცევა ეკონომიკურ განვითარების განმსაზღვრელ როლს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაში. მანამ, სანამ საქართველოში არ მოხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რითაც შეიქმნება არ ექცევა ეკონომიკურ განვითარების განმსაზღვრელი ფუნქციის მიზანი, რაც არ მოხდება შემთხვევაში, რაც არ მოხდება მოგვარებასთან, ვერ შეაფასა და ვერ მიიღო ის სწორი გადაწყვეტილებები, რაც აუცილებე-

ლია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.

**დღეს საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 48% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, რომელთა უმრავლესობა იმყოფება სიღარიბეში და არ გააჩნია სამენარმეო განვითარების შესაძლებლობა. ამ გარემოებას მნიშვნელოვანნილად განაპირობებს მცირებინიანობის პრობლემა. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღნერის მიხედვით, 1 ჰექტრამდე მიწას ფლობს მიწათმოსარგებლეთა 75%, 1-დან 5 ჰექტრამდე – 23.8%, 5-დან 50 ჰექტრამდე – მხოლოდ 1,46%, 50 ჰექტარზე მეტს – მხოლოდ 0.16%. ასეთ პირობებში ამ რთული და არაერთგვაროვანი სისტემის კრიზისიდან გამოყვანა, შესაბამისი დაცვითი მექანიზმების და დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მხარდაჭერის გარეშე, სოფლად მცირე მეურნეობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მათ სამენარმეო განვითარებას. მნიშვნელოვანია, ადგევატურად იყოს გააზრებული ქვეყნის განვითარებაზე კოოპერაციული სისტემის განსაკუთრებული გავლენა და სანციის ეტაპზე სახელმწიფომ, განვითარებული ეკონომიკის არაერთი ქვეყნის მსგავსად, შეასრულოს ამ პროცესის მაკონრდინირებელი, მათთვის განვითარებაზე და მხარდაჭერი ფუნქცია. უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი კიდევ უფრო ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამომდინარე, იქმნება იძულებითი მდგომარეობა, ვუპასუხოთ გამოწვევებს საკვები პროდუქტების დეფიციტთან და აგფლაციასთან დაკავშირებით, რაც უნდა გახდეს გრძელვადიანი განვითარების სტრა-**

ტეგიული გეგმის ნაწილი. აუცილებელია პრობლემის სიღრმისეული ეკონომიკური ანალიზი, რაც ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტალურად განსხვავებულ მიღვომებს აყალიბებს. საქართველოში და მის მსგავს ქვეყნებში დგას დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის შეფარდებით გამოცალევებული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც უშუალოდ ხელისუფლების ძალისხმევასთან არის დაკავშირებული.

სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს იმ რეალურ ძალას, რომელიც საერთო ეკონომიკურ კანონზომიერებზე ახდენს გავლენას და საკუთარ ქვეყანას უქმნის განვითარების სპეციფიკურ პირობებს, აჩქარებს წინსვლას, ან აფერხებს მას. არსებულ პერიოდში, სოფლად გავრცელებული მასიური სიღარიბის, ინვესტიციების მოზიდვის მინიმუმამდე დაყვანილი შესაძლებლობების და გართულებული გეოპოლიტიკური ვითარების გამო, ხელისუფლება უნდა გახდეს პასუხისმგებელი საქართველოს რეგიონების მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის, ანუ მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მეურნეების ინტერესების დაცვაზე და ქვეყნის განვითარებისთვის მათი როლის პრიორიტულობის აღიარებაზე. სწორედ ხელისუფლება უნდა გახდეს პასუხისმგებელი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ისეთი პერსპექტივის შექმნაზე, რომლის ფუნდამენტური მიზანს წარმოადგენს წარმოების საშუალებებზე კერძოდ და საზოგადოებრივი, მათ შორის უპირატესად კოოპერაციული და სათემო საკუთრების დაწესება, რათა რაც შეიძლება სწრაფად გამრავლდეს მწარმებლურ ძალათა ჯამი, რომელიც გახსნის პიროვნების თავისუფლადი განვითარების, განათლების კულტურისა და მეცნიერულ-ტექნიკური აღმავლობის ყველა შესაძლებლობას. განხორციელდება ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმირება იმ ტიპის წარმოებით ურთიერთობებზე, რომელიც გამოიწვევს რადიკალურ ცვლილებას ადამიანთა სოციალურ არსებობასა და ცნობიერებაში.

საქართვესათვის არსებულ ისტორიულ პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანია სანარმოო ურთიერთობათა ფორმის სწორი არჩევანი და მასზე დამყარებული პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემური

(კვლილებები (რეფორმები), რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომებზეა დაუუძნებული და გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლების და ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიურ ზრდას, მასობრივ დასაქმებას და უზრუნველყოფს სამენარმეო განვითარების გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალსახად განისაზღვროს – რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრძარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო მხარდაჭერის თვალსაზრისით. ამისათვის საჭიროა სალრმისეული ანალიზი, თუ საიდან იღებს სათავეს წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების დემოკრატიული პრინციპები და რა არის მისი საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყნებმა მწვავე კრიზისების დაძლევის და სწრაფი ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ კომპერაციული სისტემის განვითარება მიიჩნიეს. თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ამ კუთხით, დავინახავთ, რომ საერთო ჯამში ეკონომიკის მოვალეობა განვითარების სტრუქტურა, საწარმოო და საკრედიტო-საფინანსო ურთიერთობები, ისევე როგორც დემოკრატიული ინსტიტუტები, იცვლებოდნენ განვითარების ეტაპების მიხედვით, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო სახელმწიფოს როლის გაძლიერებასთან კომპერაციული ინსტიტუტების თან კვიდრებაში.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კონპერაციის გამოცდილება იძლევა საკამარის მასალას, სისტემური ანალიზის საფუძველზე მათი სამეცნიერო და პრაქტიკული განზოგადებისათვის. მაგალითად, ესპანეთის რეფორმების წარმატების მთავარი მიზნებს სოფლის მეურნეობაში კონპერატივების განვითარება წარმოადგენს, რომლის მთავარ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ესპანეთის კონსტიტუციის (1978წ.).

129.2 მუხლი: „სახელმწიფო ორგანოებმა ეფუძნებულ უნდა დასახონ წარმოებაში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები და ხელი შეუწყონ კოპე-

ჩატივების ჩამოყალიბებას არსებული კანონმდებლობის საფუძველზე“.  
დღეს ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო კომპერატივებში განვრანებულია 1 მლნ-მდე ფერმერი; ქვეყნის მთლიანი საქონელბრუნვის 47% და აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების 60% ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების მიერ. ღვინის, ხილ-ბოსტნეულის და ზეთის ხილის წარმოებაში ესპანეთი პირველ ადგილზეა ევროპაში. იტალიის, ისევე როგორც ესპანეთის კომპერაციული სისტემის სამართლებრივ საფუძველს უპირველს ყოვლისა წარმოადგენს იტალიის რესპუბლიკის 1947 წელს მიღებული კონსტიტუციის 45-ე მუხლი, რომელშიც ნათევამია: „რესპუბლიკა აღიარებს კომპერაციის სოციალურ ფუნქციას, რომელიც ეფუძნება ურთიერთდახმარებას და არ ისახავს მიზნად სპეკულაციურ მიზნებს“. უფრო დაწვრილებით კომპერაციის მიზნები ჩამოყალიბებულია იტალიის სამოქალაქო კოდექსში, სადაც მითითებულია: „კომპერაციის მიზანს წარმოადგენს მისი წევრებისათვის უკეთესი მომსახურეობისა და სამუშაო პირობების შექმნა, ვიდრე ეს შეუძლია თავისუფალ ბაზარს.“ საფრანგეთში 24 000 სასოფლო-სამეურნეო კომპერატივი უზრუნველყოფს 1 მილიონ სამუშაო ადგილს და მათი წლიური საერთო ფინანსური ბრუნვა აღემატება 300 მილიარდ ევროს. ბელგიაში კომპერატივების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ბაზარზე შეადგენს: რე 50%, ხილი და ბოსტნეული 70-90%, ხორცი 20-30%. უაღრესად მნირი ბუნებრივი რესურსების მქონე ისრაელმა, სწორედ კომპერაციული სისტემით შეძლო შეაქმნა კონდის

ეკონომიკასა და ინფვაციურ ტექ-  
ნოლოგიებზე დამყარებული სასოფ-  
ლო-სამეურნეო წარმოების სისტემა.  
სწორედ კომპერაციული სისტემით  
მიაღწია პოლანდიამ, გამსდარიყო  
მსოფლიოში ერთეულთი ლიდერი რძის  
პროდუქტების ექსპორტით. იაპონია-  
ში კომპერაციულმა სისტემამ გამო-  
ავლინა განსაკუთრებული სიცოცხ-  
ლისუნარიანობა. 1947 წელს სასოფ-  
ლო-სამეურნეო კომპერაციის შე-  
სახებ კანონის მიღების შედეგად და  
იაპონიის იმპერატორის განკარგუ-  
ლებით, სოფლის მთელი მოსახლეობა  
ავტომატურად ჩართული იქნა კომ-  
პერაციულ სისტემაში, რომლის მეშ-  
ვეობითაც მთავრობამ მოახდინა ახა-  
ლი აგრძარული პოლიტიკის გატარე-  
ბა. მიმდინარე პერიოდში იაპონელი  
ფერმერების 91% გაწევრიანებულია  
სასოფლო-სამეურნეო კომპერატი-  
ვებში. საქართველოზე გაცილებით  
მნიში რესურსების მქონე სომხეთ-  
მა, კომპერაციული აგროსაკრედი-  
ტო სისტემის შექმნით მოახერხა ის,  
რომ ჩვენზე მაღალი აქცს თვითუზ-  
რუნველყოფის მაჩვენებლები (გან-  
საკუთრებით ხორბლის წარმოება-  
ში) და თავის სოფლის მეურნეობის  
პროდუქციას – ხილს, ბოსტნეულს და  
ყურძნესაც კი, საქართველოს ბაზ-  
რაბზეც ყითის.

ეკონომიკური საქმიანობის კონპე-  
რაციული ფორმის აღმოცენება გან-  
პირობებული იყო ეკონომიკური და  
სოციალური პროგრესის ობიექტური  
მოთხოვნებით. კონპერაციული უთი-  
ერთობების ინტენსიური განვითარე-  
ბა დაიწყო მე-19 საუკუნის შუა პერი-  
ოდიდან და განპირობებული იყო გან-  
ვითარებულ ფულად-სასაქონლო ურ-  
თიერთობების გზაზე მდგარი ჩამორ-  
ჩენილი სასოფლო-სამუშაონაო სისტე-





მისა და სუსტი ეკონომიკური პოტენციალის მქონე წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობების სასაქონლო ბაზრებთან, განვითარებულ წარმოების საშუალებებთან და საკურედიტო რესურსებთან სტაბილური კავშირების დამყარების აუცილებლობით. გადაუქმნებლად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში დახვეწილი და სრულყოფილი, დემოკრატიულ მართვის პრინციპებზე და რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და ორგანულად თავსებადია – ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული კოოპერაციული სანარმოო ურთიერთობები, მნიშვნელოვანი მდგრენელია ევროკავშირის ქვეყნების ძლიერი ეკონომიკის და დემოკრატიული წესწყობილების.

აგრარულ მეურნეობათა კოპერირება ობიექტური პროცესია. მას განაპირობებს სანარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობების განუწყვეტელი სრულყოფის პროცესი, რომელიც მოითხოვს მიწაზე ოპტიმალური სიდიდის შესაბამისი ორგანიზაციული ფორმის მეურნეობრივის ტიპს. კოპერაციული პრინციპები არის სახელმძღვანელო მითითებები საქმიანობის წარმატებისთვის. ისინი ქმნიან ხიდს ფასეულობებსა და წევრების მატერიალური ინტერესებს შორის, რაც აძლიერებს განვითარების პროცესს. ამ მოდელის უპირატესობა მდგომარეობს მხარაჭერის მეთოდების კომპლექსურ ხასიათში, რაც იძლევა სანარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ საშუალებას.

სასოფლო-სამეურნეო კოპერატივებს გააჩნია რიგი მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, რაც ძირითადად მათ შიდასანარმოო ურთიერთობებში ვლინდება. სასოფლო-სამეურნეო კოპერაციის შიდა-

სანარმოო ურთიერთობების წესები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოპერატივის, როგორც ორგანიზაციული ფორმის ინდენტობის განმსაზღვრელ მთავარ კომპონენტს, რადგან სწორედ ამ წესების დანერგვით იქმნება ეკონომიკური გარემო, სადაც სოფლად სამენარმეო საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა საპაიო ფონდში შეტანილი მატერიალური სასსრებით დივიდენდების მიღების პერსპექტივა, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის შრომის უკუგების მაღალი ხარისხი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა სათემო კოოპერატივებს ენიჭება. მათი ჩამოყალიბება მოხდება ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში, წარმოების სპეციალიზაციისა და სანარმოო ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. სათემო კოოპერატივები უზრუნველყოფენ კოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივ ჩართულობას, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია, რაც შექმნის ინკუსტიური სამენარმეო განვითარების მყარ საფუძველს. სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე მნიშვნელოვანი ინდენტი (0.40), რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდანაც კი ყველაზე მაღალია რუსეთის შემდეგ. გასული სა-

უკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, ქვეყნის მთავრობების ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც სახელმწიფო მონოპოლიზმის საბჭოთა ბიუროკრატიულ-მმართველობითი სისტემა ჩაანაცვლა, არაფერი იღონა სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად, სრულ იგნორირებას უკეთებდა მას, არც კი განიხილავდა, როგორც ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორს და მოახდინა წარმომების საშუალებათა კონცენტრაცია მცირერიცხოვანი კონტიგენტის ხელში. აუცილებელია ეკონომიკური განვითარების თვისებრივად ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბება და გარდვევა შექმნილი სიტუაციიდან, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა გამოვლინდეს სიღარბის წარმომქმნელი გარეგანი და შიდა ფაქტორები, შემუშავდეს მათი დაძლევის ფორმება და მექანიზმი.

ეკონომიკური განვითარება პრინციპულად განსხვავებული და გაცილებით ფართო მცნებაა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდის მოდელისგან განსხვავებით, ეკონომიკური განვითარების მოდელი პრაქტიკულად წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკურ მოდელს და განისაზღვრება არა მარტო მშპ-ის დონით ერთ სულ მოსახლეზე, არამედ აჩვენებს თუ რა გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდას უშუალოდ მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, როგორია ქვეყანაში ცხოვრების დონის ცვლილების დინამიკა. გლობალური განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კანონზომიერების დაკვირვება და მოქმედების სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიზნისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული იქნა „ანგარიშთა ერთიანი სისტემა“, რომლის მეშვეობითაც ყველა ქვეყანა ამუშავებს ეროვნულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და აქვეყნებს მათ. ქვეყანათა რეიტინგს საფუძვლად დაედო „ადამიანის განვითარების“ ინდექსი, რომელიც წარმოადგენს მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე, შენონილს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და მოსახლეობის განათლების დონესთან. მართალია, იგი ვერ ცვლის მთლიან შიდა პროდუქტს, რომელიც რჩება ეკონომი-

კური ზრდის მთავარი ინდიკატორი, მაგრამ ქმნის სრულ წარმოდგენებს მოსახლეობის ინკლუზიური განვითარების აქტივობებზე. საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის უმეტესობა გაჭირვებაში ცხოვრობს, არამედ მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც. განსხვავება იმაშია, რომ საქართველოში ლარიბები შიმშილობენ, ხოლო მაგ. აშშ-ის დარბების საარსებო მინიმუმი თვეში 900 დოლარზე მეტია.

გასული საუკუნის 60-90-იან წლებში ეკონომიკური პოლიტიკა ახლოს იდგა „ვაშინგტონის კონსენსუსი“ სახელით ცნობილ პარადიგმასთან, რაც გულისხმობდა მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას და მატებური ინფარასტრუქტურული პროექტების განხორციელებით კერძო ინვესტიციების გააქტიურებას, რასაც შედეგად მოყვებოდა ეკონომიკური ზრდა, რაც საპოლოო ანგარიშით მიგვიყვანდა უთანასწორობის პრობლემის დაძლევამდე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეკონომიკური ზრდის პარალელურად სიღარიბე და უთანასწორობა არ მცირდებოდა. პირიქით, ასეთი ვითარება ხელს უშლიდა გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. 90-იან წლებში ამ ლოგიკამ, მისი შედეგებიდან გამომდინარე, დომინატის ფუნქცია დაკარგა და თანდათან გამოეთმა მსოფლიო ბანკის ეკონომიკურ პოლიტიკას, სადაც დღეს უკვე დომინირებს „ინკუზიური ზრდის“ პარადიგმა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ეკონომიკური ზრდა უდავოდ აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ იმისათვის რომ ზრდა იყოს მდგრადი და აისახოს მოსახლეობის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე, მან უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის ფართო ჩართულობა ეკონომიკურ პროცესებში და სოციალური უთანასწორობის შემცირება.

საპოლოოდ დადასტურდა, რომ უთანასწორობა საფრთხეს უქმნის ეკონომიკური ზრდის პროცესს, რამაც განაპირობა ინკლუზიური ზრდის პარადიგმის გააქტიურება. ინკლუზიური ზრდა მიზანშენობილად მიიჩნევს ისეთ სოციალურ პოლიტიკას, რომლიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდაში მოსახლეობის ფართო ჩართულობას და ემიგრაციას. „კალდორ-ჰიკის“ ლოგიკას, რომლის მიხედვით მთავარია ეკონომიკური

ზრდა და შემდეგ ზრდის რედისტრიბუცია სოციალური უზრუნველყოფის გზით.

სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ბიუჯეტი ეფუძნება სიღარიბის დაძლევის პოლიტიკას საბიუჯეტო ხარჯების გადანაწილების გზით, რაც ვერანაირად ვერ გახდება ინკლუზიური ზრდის მენენტრიმი. ინკლუზიური ზრდა კი პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული და ამით უზრუნველყოფს ბიუჯეტის მდგრადობას სოციალური ხარჯების შემცირების გზით. ინკლუზიური ზრდის შეფასება მოითხოვს კომპლექსურ ინდიკატორთა კრებულს და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც წარდგენილი იყო დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე 2015 წელს, შეიძლება მიჩნეული იქნას ერთ-ერთ საუკეთესოდ ამ კუთხით. ინკლუზიური ზრდის მთავარი მიზანი პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობა და ამის ხარჯზე ფართოდ დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მიღწევაა. (ლ. არევაძე 2015 წ.)

ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის ფუნდანენტური მნიშვნელობა აქვს, რომ კატეგორიულად განისაზღვროს: არსებულ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგრამარება წარმოადგენს განსაკუთრებული აქტუალობის პრობლემას, მთავარ გამოწვევას და სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მოცუმულობას. აუცილებელია ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონების მოსახლეობის აბსოლუტური

უმრავლესობის, ანუ მცირებინიანი და დაბალშემოსავლიანი, უშუალოდ პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების სამეწარმეო განვითარებაზე. ამისათვის განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

- შეფასებულია თანამედროვე კოოპერაციული სისტემების და ურთიერთობების განვითარების ტენდენციები, რისთვისაც შესწავლილი იქნა საერთაშორისო და ეროვნული განვითარების გამოცდილება, ამ პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის მეთოდების ანალიზით;

- შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული სისტემის განვითარების მეთოდური ინსტრუმეტები, საკუთრებითი ფორმების ინტეგრირების საფუძველზე;

- დასაბუთებულია კოოპერაციული სისტემის კონკურენტული უპირატესპა სხვა სამეწარმეო ფორმებთან მიმართებაში, სამეურნეო სუბიექტების რესურსების გამსხვილების და ვერტიკალურად ინტეგრირებული კოოპერაციული სისტემის ანალიზის საფუძველზე;

- შემუშავებულია კოოპერაციული სისტემის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის რეგულირების მოდელი და ფინანსური მექანიზმის მართვის სტრუქტურა;

- სისტემატიზირებულია სახელმწიფო ფინანსების მართვის პრობლემები და განხილულია საგადასახადო პოლიტიკის რაციონალიზაციის თავისებურებები.

**დაბოლო გამოსახულაშვილი,  
ეკონომიკის დოკტორი  
(გავრდებულება შემდეგ ნომერში)**



# სეტყვისაგან ვაზის საიმადო დაცვა

1877 წლის ივლისში გაზეთი „ივერია“ ცერდა, რომ 4 ივლისს შესანიშნავი ამინდის დროს, შუაღლიდან ამოვარდა ქლივი გრიგალი, ჩამოგნელდა, დაუშვა თავსება ნეიმა, რასაც სეტყვა მოჰვა, მისი მარცვლები მთრედის კვერცხის ზომისა იყო. მოლიანად განაღურდა ნათებაზი და ვანახვი გურჯაანში, ვეჯინში, ბაკურციხეში და მიმდებარე სოფლებში.

**სეტყვა – ატმოსფერული ნალექია.**  
იგი მოდის გროვა წვიმის ღრუბლიდან. ჩვეულებრივ ელჭექისა და თავსების დროს. ფორმირდება, უმთავრესად წლის თბილ პერიოდში (როცა ტემპერატურა 20°C-ზე მეტია). სეტყვა შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის (5-55 მმ; იშვიათად 130 მმ-მდე)

ვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გეოფიზიკის და ჰიდრომეტეოროლოგის ინსტიტუტებში ჩატარებული სამუშაოები, რის საფუძველზეც შემუშავდა სეტყვის ღრუბელზე ზემოქმედების ეფექტური მეთოდები. ეს მეთოდები დაინირება სეტყვასთან ბრძოლის სპეციალურ სამსახურში,



სურათი 1. სეტყვა ვენახში

სფერული ნაწილაკების, ან ნატეხებისაგან. სეტყვის მარცვალს შრეებრივი აგებულება აქვს – არსებობს 1 მმ სისქის გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე შრეები. სეტყვის ზოლის სიგანე რამდენიმე კმ-ია, სიგრძე კი ათეული, ზოგჯერ ასეული კმ. მისი ხანგრძლივობა 5-10 წთ-დან 1/3 საათამდეა. სეტყვის დროს 1 წთ-ში 10<sup>2</sup> ზედაპირზე ეცემა 500-1000 მარცვალი, მათი სიმკვრივეა 0,5-0,9 გ/სმ<sup>2</sup>-ია, ხშირად ინტენსიური სეტყვა სიმძიმის, ასევე მოძრაობის სიჩქარის შედეგად შეძენილი კინეტიკური ენერგიით ნიადაგის ზედაპირზე დაცემისას იწვევს მის დამლას და ეროზიული მოვლენების გააქტიურებას.

საქართველოში სეტყვიანობის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ფართო სპექტრს მოიცავს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მიმდინარეობდა სეტყვის პროცესების აქტიური თეორიული და ექსპერიმენტული კვლე-

რომელიც სეტყვისგან იცავდა დაახლოებით 1.2 მლნ.ჰა ფართობზე განლაგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. აღნიშნული სამუშაოების შედეგად ზარალი შემცირდა დაახლოებით 70-80%-ით.

სასოფლო სამეურნეო კულტურებს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს წვრილი ინტენსიური სეტყვა, თუმცა, განსაკუთრებით საშიშია 10-15 მმ დიამეტრის მქონე სეტყვის მარცვლები. ასევე არსებობენ სეტყვის ქვებიც, რომელთა დიამეტრიც 30-40 მმ და ზოგჯერ უფრო მეტიცაა.

ასეთ სეტყვას შეუძლია მთლიანად გაანადგუროს ნათესები, დახვრიტოს სახლების სახურავები, დაამსხვრიოს ფანჯრები, დახოცოს შინაური ფრინველი და წვრილფეხა საქონელი. იშვიათ შემთხვევაში სეტყვის მარცვალი ინონის 100-200გ-ს და ქათმის კვერცხის ტოლიცაა, ასეთი სეტყვის ქვები ადამიანების დაღუპვის მიზეზიც გამხდარა – კერძოდ ინდოეთის ქალაქ მორადაბადში 1888 წელს სეტყვამ

246 ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

ცნობილია, ისიც, რომ 1961 წელს ინდოეთში სეტყვამ მოკლა სპილო, ხოლო 1981 წელს ჩინეთში 10 ათასზე მეტი შენობა-ნაგებობა დააზიანდა. 2010 წელს არგენტინაში, ვიალეს შტატში დაფიქსირდა დღემდე უდიდესი სეტყვა 4,4 კილოგრამი წონით.

სეტყვა განსაკუთრებით საშიშია იმ რაიონებში, რომლებიც სასიათდება რელიეფის სირთულით, ზღვის დონიდან დიდი სიმაღლით, ჰაერის მასების მაღალი ტენიანობით, ანუ მთიან და მაღალმთიან რეგიონებში. საქართველო სწორედ ასეთ რეგიონებს მიეკუთვნება. ფაქტია, რომ კავკასიის მთიანეთში ადგილის სიმაღლის ზრდა 500 მ-დან 2500მ-მდე იწვევს სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობის 2-3 ჯერ ზრდას. ფაქტია, ისიც, რომ სეტყვამ საქართველოს 1997 წელს მიაყენა 35 მლ.ლ-ის ზარალი.

თანამედროვე ცივილიზაციულ მსოფლიოში სეტყვასთან ბრძოლა დღეისათვის ძირითადად ორი მეთოდით ხდება:

**პირველი მეთოდია** სეტყვის პროცესზე აქტიური ზემოქმედება, თვითმფრინავით ან რაკეტების საშუალებით და ღრუბლებში ქიმიური რეაგენტების შეტანა.

არსებული მექანიზმები და დანადგარები ვერ უზრუნველყოფენ სეტყვისაგან ბალებისა და ვენახების სტაბილურ, საიმედო დაცვას, ვინაიდან აღნიშნული მოწყობილობების გააქტიურება მოითხოვს წინასწარ პროგნოზირებას.

სამწუხაროდ ხშირად ადგილი აქვს

1) მოწყობილობების გვიან ჩართვას და არაეფექტურ მუშაობას.

2) ძნელია კლიმატის პროგნოზირება,



სურათი 2. სეტყვის ქვები

3) ძვირია სეტყვის საწინააღმდეგო ქვემეხები, ჭურვები და ლოკატორები.

4) თვითმფრინავებისა და სხვა საფრენი აპარატების სვლაგაზების ფრენის არეალები ზოგჯერ დროულად ვერ ხდება სეტყვის დამშლელი ღრუბლების ჭურვების სროლის წებართვის მიღება.

5) ხშირად დანახარჯები იმ მოწყობილობებზე, რომლებიც დღეისათვის გავრცელებულია ღვინის მნარმოებელ ქვეყნებში, მნიშვნელოვნად აღმატება სეტყვისაგან მიყენებულ ფინანსურ დანახარჯებს და ეკონომიკურად არა ეფექტურია.

6) ასევე ძვირია თვითმფრინავებით ღრუბლების დაშლა, ვინაიდან თვითმფრინავით გაფრენა ერთი საათის განმავლობაში 30 ათასი ევრო ჯდება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სეტყვისაგან მოსავლის დაცვის ამ სისტემების მონტაჟი და მისი ექსპლუოტაცია საქართველოში ქვეყანას ათობით მილიონი ლარი დაუჯდა. თუმცა ცოდვა გამხელილი ჯობია და ეს კლიმატური კატასროფული მოვლენა, რომელსაც ქართველი მევენახები ღვთის სასჯელს უწოდებენ კლიმატის გლობალური ცვლილების გამო, კვლავ დიდ ეკონომიკურ და მორალურ ზარალს აყენებს მეურნეებს. ასე შაგალითად, 2012 წელს სეტყვამ 11 ათასი ჰა დააზიანა, ხოლო 2013 წელს – 10 ათას ჰა-ზე მეტი ფართობი. აღსანინავია ისიც, რომ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებმა 2016 წელს ვერ მოახერხეს აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვისაგან ვენახების სრულად დაცვა.

ასეთ შემთხვევებში მაშინვე ლოგიკურად ისმება კითხვა.. თუ რატომ არ იმუშავა, ამ მრავალმილიონიანი ღირებულების სისტემაა“. როგორც, ეს თავად პრაქტიკამ ცხადყო. პასუხიც ჯერ კიდევ სეტყვის მოსვლამდე უკვე მოფიქრებული, რაფინირებული და გამზადებულია: „რომ არ ემუშავევა ამ სისტემას, ზარალი ბევრად უფრო დიდი იქნებოდა“.

რეალური შედეგი კი ასეთია დედამინაზე იზრდება სეტყვიან დღეთა რაოდენობა, სეტყვის სიძლიერე და მისგან მიყენებული ზარალი. მევენახებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ წინა ათწლეულებისგან განსხვავებით, სეტყვა ასევე მოდის გაზაფხულზე და ადრე შემოდგომაზე. ამასთან, სეტყვის მარცვლები სულ უფრო დიდი ხდება. ჰაერში ფრენის



სურათი: 3 სეტყვისაგან ვაზის დაცვა ბადეებით გადახურვით.



სურათი: 4 ვენახების სეტყვისაგან დამცავი „ბადეებით გვერდული დაფარვის“ ტექნოლოგიის დემონსტრირება



სურათი: 4. სეტყვისაგან დამცავი ბადით ვაზის რიგების გვერდების დაფარვა ფირმა Whalex (ვალექსის) ტექნოლოგიით.

დროს რამდენიმე ასეთი სეტყვა ერთმანეთთან არის დაკავშირებული და შეყინული.

**მეორე მეთოდია** სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დროებითი გადახურვა სხვადასხვა სახის ბადე სახურავებით და ვენახის რიგების გვერდებიდან დაფარვა. აღსანიშნავია, რომ ეს ბადეები უმეტეს შემთხვევაში ცელიფანის, ასევე პლასტიკური ნაგვის ნაჩენებისაგან მზადდება და

ცირკულალური ეკონომიკის ეფექტურობის აშკარა შედეგია, 80-იანი წლებიდან საქართველოში ინტენსიური მუშაობა ტარდებოდა სეტყვისაგან დამცავ მექანიკური „ბადეური დაფარვის“ სისტემის შექმნაზე, საგარეჯოში მანავის ტერიტორიაზე

ჩატარდა კიდევ მისი დემონსტრირებაც. 2000-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთ იტალიაში ევრომონტანას ტრენტინოს საერთაშორისო



**სურათი 5. სეტყვისაგან დამცავი ბადით გვერდიდან დაფარული ვენახი.**

კონფერენციაზე ჩატარდა ვენახების „ბადეებით გვერდული დაფარვის“. დემონსტრირებაც, რომელიც დღეს საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით სამთო მევენახეობის ზონებში...

ამ ტექნოლოგიით ვაზის თითოეული რიგის ზემო და ქვედა მაგთულზე ორივე მხრიდან აფარებენ სეტყვისაგან დამცავ ბადეს. ამ მეთოდს ვაზის დაცვის პასურ მეთოდსაც უწოდებენ. არსებობს ასაევე ასანევ - დასანევი ბადის ფართოდ დაფარვის მეთოდიც.

ამ ტექნოლოგიის შესაბამისად დამცავი ბადის ფართის ქვედა ბოლოში მაგრდება დრეკადი ღერო, რომლითაც ბადე შეიძლება 2-5 წამში ხელითაც ავახვიოთ.

ფაქტია, რომ იგი ნაყოფის დაცვის სამიეროობით, ეკონომიკური ეფექ-

ტურობით, სიმარტივითა და ექსპლუატაციის ხანგრძლივობით ყველა სხვა ტექნოლოგიაზე უფრო სამძლოა.

2003 წელს იფადის პროგრამით გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილებებთან წარმოების ადაპტაციის კომპონენტში ახალციხის რაიონის სოფელ წნისში (ფერმერი ზაურ ნეფარიძე) დაიწყო სამუშაოები ინტენსიური ბადის სანერგიის გასაშენებლად და „ბადური დაფარვის“ ტექნოლოგიების საქართველოში დასანერგად, მაგრამ 2004 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მსოფლიოს მევენახეობის ზონებში ფართოდ დანერგილი და მოწონებული ეს პროექტი გააჩერა.

ასევე ორიგინალური სქემები და კონსტრუქციებია დამუშავებული ქართველი მეცნიერებისა და გამომკონებების მიერ. ამ მხრივ აღსა-


ნიშნავია პროფ. დ. თაქტაქიშვილის, გ. შაფაქიძის, ვ. ბუჩუკურის, გ. თოფურიას, ა. იოსელიანის, ვ. მოდოვიჩ-კოს და სხვების შრომები. აღნიშნული ავტორების მიერ დამუშავებულ იქნა ვენახების გადასახური კონსტრუქციები და ისინი გამოცდილ იქნა საველე პირობებში.

სპეციალისტების აზრით, ასეთი ბადეების მთავარი უპირატესობა გარდა სეტყვისაგან დაცვისა მდგომარეობს ნაყოფების ქარისა და მზის დამწვრობებისაგან დაცვაში. ბადეები ინარჩუნებენ სტაბილურ ტენიანობას, ქმნიან მიკროკლიმატს, ასევე იცავენ მცენარეებს, მაგნებლების ზემოქმედებისაგან და ტემპერატურის ძლიერი ცვალებადობისაგან.


ბადეების ფერების საშუალებით შესაძლებელია მცენარის ნაყოფების დამწიფების პროცესის დაჩქარება ან შენელება, მცენარის ბიომასის გაზრდა, ფესვთა სისტემის და ღეროების გამაგრება, ნაყოფების ფერისა და ზომის რეგულირება.

უკანასკნელ პერიოდში კომპანიები ამზადებენ ხანგამძლე (10-40 წელი) და სამიედო ბადე-კონსტრუქციებს, რომლების გამოიყენება კვლავნარმოებაში და რომელთაც პრაქტიკულად იყენებს ღვინისა და ხეხილის მწარმოებელი ევროპის ყველა ქვეყანა.


საქართველოში ჯერჯერობით მათი გამოყენება მასიურად პრაქტიკულად არ ხდება. მართალია, აღნიშნული მოწყობილობები არ წარმოადგენენ




**ფიგ. 1-ზე ნაჩვენებია მოწყობილობის საერთო ხედი;**



**ფიგ. 2-ზე ნაჩვენებია მოწყობილობის ბერკეტების განლაგება ვენახის რიგის სადგარზე;**



**ფიგ. 3 მოწყობილობის საერთო ხედი ბადის გაშლისას**



**ფიგ. 4 მოწყობილობის საერთო ხედი დაკეცილი ბადის შემთხვევაში.**

ფუფუნებას, მაგრამ მათი გამოყენება აუცილებელია, რათა მებალეებმა და მევენახებმა მიიღონ მაღალი, ხარისხიანი და ბაზარზე მაღალ კონკურენტუნარიანი მოსავალი.

ვენახისა და ბალების სეტყვისაგან დაცვის თანამედროვე ბადების კონსტრუქციების შექმნისა და დახვეწის საკითხებზე, ნაყოფიერ საქმიანობას აწარმოებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიც. ეს მოწყობილობა უზრუნველყოფს სეტყვის საწინააღმდეგო ბადის

სეტყვის წინ ღრუბლების ვიზუალური შეფასების ან სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის შეტყობინებების საფუძველზე გაშლას და დაკეცვას, მათ შორის დისტანციურადაც.

ეს მოდელი შეიცავს ვენახის პლანების საყრდენების ბოლოებზე სახსრულად დამაგრებულ ბერკეტებს, რომლებზეც დამაგრებულია სეტყვა დამცავი ბადე და რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ბერკეტების ბოლოებზე ჩამაგრებული ბაგირების მეშვეობით.

ვენახის რიგების ყოველი საყრდენის თავზე სახსრულადაა დამაგრებული ორი ბერკეტი. მათ შეუძლიათ თავისი ღრების გარშემო მობრუნება. ღრების ბოლოებში გაკეთებულ ნახვრეტებში გატარებული და ჩამაგრებული ორი ბაგირის მოძრაობა უზრუნველყოფს ბერკეტების გაშლას და დაკეცვას. ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს მათზე დამგრებული დამცავი ბადის გადაჭიმვას ვენახზე და შემდგომ საჭიროების შემთხვევაში მის ჩაკეცვას.

შემოთავაზებული მოწყობილობა აღნერილია თანდართულ ფიგურებზე მითითებებით, სადაც:

მოწყობილობა (ფიგ. 1) შეიცავს ვენახის პლანების სადგარებს 1 მათზე სახსრულად ჩამაგრებულ ორ ბერკეტს 2 და 3, სეტყვის საწინააღმდეგო ბადეს 4 და განაპირა ბაგირებს 5 და 6 გაყრილს და ჩამაგრებულს ბერკეტებში. ბადის (4) შუა ნაწილი რგოლების 8 მეშვეობით დამაგრებულია ვენახის პლანების სადგარებზე დაჭიმულ ბაგირზე 7. მოწყობილობის ერთ ბოლოში დამატებით საყრდენზე 9 დამაგრებულ 5 და 6 ბაგირების მიმმართველ ჭალს 10 და ამ ბეგირების მოძრაობაში მომყვან ტვირთს 11. მოწყობილობის მეორე ბოლოში ვენახის რიგის საყრდენზე დამაგრებულ განაპირა 5 და 6 ბაგირების მიმმართველ ჭალს 12, ბაგირების დამჭირების, დაკავშირების შექმნისას და დამაგრების მიმმართველ ჭალს 13 და ამ ბეგირების მოძრაობაში მომყვან ტვირთს 14.


ჭალს, დაკავშირებულს ხრუტუნა მექანიზმთან 13 და ამ მექანიზმის სარეკელას ელექტრომაგნიტურ ჩამრთველს 14.

### მოცემების მუშაობა შემდეგ ნაირად:

როგორც უკვე აღვინისნეთ მოწყობილობა უზრუნველყოფს სეტყვის საწინააღმდეგო ბადის გაშლას და დაკეცვას. ბადის გაშლისას ხრუტუნა (ფიგ. 1) მექანიზმზე დამაგრებული ელექტრომაგნიტური ჭოკი 14 მოდებიდან გამოიყვანს ხრუტუნას 13 სემობრუნებით (კონსტრუქციის სიმარტივის გამო სახელური ნახაზებზე

მარცვლები ჩამოგორდებიან ბადებან და დაგროვდებიან რიგთაშორის სივრცეში.

სეტყვადამცავი ბადის საწყის – არამუშა მდგომარეობაში მოსაყვანად ხრუტუნა მექანიზმის 13 და შესაბამისად მასთან დაკავშირებული 12 დამჭირები ჭალი უნდა მობრუნდეს ბადის გაშლის საწინააღმდეგო მიმართულებით, რისთვისაც ხრუტუნას ღერძზე გათვალისწინებულია ქანის დამაგრება, რომლის საშუალებითაც სპეციალური სახელურის შემობრუნებით (კონსტრუქციის სიმარტივის გამო სახელური ნახაზებზე




**სურათი 6. ვენახის სეტყვისგან დამცავი მოწყობილობა დახურულ მდგომარეობაში**

11-თი, რომელიც დაკავშირებულია 4 ბადის განაპირა 5 და 6 ბაგირებთან განთავისუფლდება მბისაგან და დაიწყებს ვერტიკალურად ქვემოთ მოძრაობას დამეტებითი 9 საყრდენის გასწრივ. ტვირთის მოძრაობა გამოიწვევს მომართველი 10 და 12 ჭალების გავლით განაპირა 5 და 6 ბაგირების გადაადგილებას. იმის გამო, რომ განაპირა 5 და 6 ბაგირები ერთიანად გაყრილია და ჩამაგრებული ვენახის რიგის საყრდენებზე 1 სახსრულად დამაგრებულ 2 და 3 ბერკეტებზე, ეს უკანასკნელი დაიწყებენ თავისი ღრების გარშემო შემობრუნებას, რის შედეგად ამ ბერკეტებზე დამაგრებული ბადე დაინწყებს გაშლას, რაც დასრულდება ბადის ბოლომდე გაშლისას, როდესაც ბერკეტები განლაგდებიან პარალელურად ერთ სწორ ხაზზე (ფიგ. 1). გაშლილი ბადე გადაფარვების ვენახს 120 სანტიმეტრით და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბერკეტები 2 და 3 მობრუნების ღრების მიმმართ დახრილია 40-50 -ით, მაშინ ბადე სრულად დაიცავს ვენახს სეტყვისაგან, რადგანაც სეტყვის

არ არის დატანილი) მოხდება ტვირთის 11 აწევა, რომელთან ერთად შემობრუნდებიან ბერკეტები 2 და 3 თავისი ღრების გარშემო ბადის გაშლის საწინააღმდეგო მიმართულებით, რის შედეგადაც მოხდება ბადის დაკეცვა. იმასათვის, რომ ბადის დაკეცვისას მისი ცენტრალური ნაწილი არ ჩამონვეს და არ დააზიანოს ვენახი, ვენახის რიგების საყრდენებს შორის გადაჭიმულია ბაგირი 7, რომელზეც ბადის შუა ნაწილი დამაგრებულია რგოლების 8 საშუალებით. ამ რგოლებს გააჩინათ ბაგირ 7-ზე გასრიალების საშუალება, რითაც გაადვილდება ბერკეტების 2 და 3 მოტრიალება თავისი ღრების გარშემო და სათანადოთ ბადის 4 გაშლა და დაკეცვა (ნახ. 3 და 4).

კონსტრუქცია აღჭურვილია რადიო ელექტრონული სისტემით, რითაც შესაძლებელია კონსტრუქციის დასტანციურად ჩართვა და მისი გახსნა, მუშა მდგომარეობაში მოყვანა ოპერატორების ჩაურევლად. გახსნა ხდება შეკიდებული ტვირთის გრავიტაციის გამოყენებით. ფოტო



სურათი 7. გაშლილი ბაზე

მაცხოვლები

## ფრთხილად, კრაზანები!

გოლო პერიოდში სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით და სოციალური ქალებით ინფორმაცია ადამიანების პრაზანებისაგან დაპარისა და მასთან დაკავშირებული არასასურველი შეღებების შესახებ.

მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გოდერძი გოდერძიშვილმა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს მიაწოდა მასალა „ფრთხილად, კრაზანები“, სადაც ის რეკომენდაციას იძლევა კრაზანებისაგან და მათი დაკავშირებას თავის დაცვის ღონისძიებების შესახებ.

როგორც ბატონი გორდერძი აღნიშნავს: „დასავლეთ საქართველოში, უკანასნელი ორი წლის მანძილზე შეინიშნება კრაზანების ინტენსიური გამრავლება. 2018 წელს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის თანამშრომელ ლ. ბალიშვილთან ერთობლივად ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ ჩვეულებრივმა კრაზანამ მთლიანად გაანადგურა 60 სკა ფუტკარი სოფ. ქვაყუდები (ყოფილი გოროვანი, სამტკრედის მუნიციპალიტეტი). ამავე პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია საჩერის, ჭიათურის, ნალენჯის შენიციპალიტეტების ზოგიერთ ტერიტორიებზე ევროპული დიდი კრაზანის გავრცელების შესახებ და მათგან დაკავშირებული შედეგად ჯანმრთელობის მიმებ მოშლით ადამიანის დაღუპვაზეც.

კრაზანებისაგან დაკავშილი ადამიანების დაღუპვა ნარსულშიც იყო აღნიშნული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში (ვ. სტეფანიშვილი). ჩვენი ორგანიზაციის („ქა საერთაშორისო კავკასიაში“) და სურათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელების მონანილეობით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ კრაზანების რიცხვოვნობა საგრძნობლადაა შემცირებული კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა რაიონებში (აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი) სამაგიეროდ, მათი პოპულაცია ძლიერად მომატებული სამეგრელოს სხვა ტერიტორიებსა და იმერეთის მთისწინებში.

არსებული ინფორმაციით, მიმდინარე წელსაც დაფიქსირდა ონაგარას (გიგანტური კრაზანა) დაკავშირის შემდგომ ადამიანების გარდაცვალება. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა რეგიონებიდან კრაზანების მიგრაცია მოხდა მის მომიჯნავე წინა მთებში. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ გიგანტური კრაზანის მასობრივი გამრავლება შეინიშნება დუშეთის რაიონის სოფლებში, თბილისშიც, ძველი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიებზე, გიგანტური კრა-

1-ზე ნაჩვენებია ვენახის სეტყვისგან დამცავი მოწყობილობა დახურულ მდგომარეობაში. ხოლო ფოტო 2-ზე ვენახის სეტყვისგან დამცავი მოწყობილობა გახსნილ მდგომარეობაში.

**მხედვა ჯანიჭავილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი;

**მა პილატამბლაძე,**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასისტენტ. პროფესორი;

**თავაზ მუბახიძე,**  
მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი;

**არა მუბალაძე,**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი



ზანის ინტენსიური ფრენის მრავალი შემთხვევა დაფიქსირებული.

ცნობილია, რომ საქართველოში ფართოდა გავრცელებული ნამდვილი კრაზანების (*Vespidae*) ოჯახის სამი სახეობა:

1. ჩვეულებრივი (*Vespa vulgaris*);
2. გერმანული (*V. germanica*);
3. ონავარა, იგივე ევროპული დიდი კრაზანა (*Vespa crabro*)

მათვის დამახასიათებელია შემდეგი მორფოლოგიური თავისებურებანი:

- ფრთები, როგორც მთელი რაზმისათვისაა დამახასიათებელი, სიფრიფანა და გამჭვირვალეა;

- წინა ორი წყვილი ფრთა, მოსვენების მდგომარეობაში, სიგრძივად ორადაა გაკეცილი. ისინი სრული დაძარღვით ხასიათდებიან;

- ულვაშები დამუხლული აქეს;

- პირი მღრღნელი ტიპისაა;

- წინა მკერდის უკანა ნაპირი ამოჭ-  
რილია და გადაწოლილია შუა მკერდ-  
ზე. მისი გვერდითი ნაპირები გრძე-  
ლია და არ ქმნიან მხრის ბორცვებს;

- მუცელი კიდული ან ღერაკისებურია.

კრაზანები მორფოლოგიურად  
მკვეთრად განსხვავდებიან მასთან  
ახლო მდგომი ფუტკრებისა და ჭი-  
ანჭველებისაგანაც, მათთვის დამა-  
ხასიათებელი კიდული მუცლით და  
მყვირალა გამაფრთხილებელი შე-  
ფერილობით. კრაზანების ნესტარიც  
განსხვავდება ფუტკრის ნესტრისა-  
გან. იგი გლუვია, ყოველგვარი ნაჭ-  
დევების გარეშე და დაკენის შემდ-  
გომ ადვილად ამოდის თბილისისხლი-  
ანების კანიდან.

ფუტკრის ნესტარი კი ნაჭდევებია-ნია, რის გამოც მას უკან ამოძრობის საშუალებას არ ეძლევა. იგი შხამის გამომყოფ ჯირკვალთან ერთად ამო-იგლიჯება მუცლის ბოლოდან და და-ნესტრილ ქსოვილში რჩება ისე, რომ თან მოყოლილი კუნთები განაგრობს ამ ჯირკვალზე ზენოლას და შხამის გამოყოფას. ამდენად ფუტკრის ნაკ-ბენზე დანის პირის გადასმა და ნესტ-რის ამოღება ამცირებს ნაკბენში შხა-მის ჩაღვრას, ხოლო თვით ნესტრის ნაკბენში ჩარჩენა საბოლოოდ იწვევს ფუტკრის დაღუპვას. ფუტკრისგან განსხვავებით, კრაზანას შეუძლია რამდენჯერმე დაკბინოს ადამიანი და თვითონ უგნებელი დარჩეს.

სამივე სახეობის კრაზიანა იკვებება ყვავილების მტვრითა და ნექტარით, მნიშვე ნაყოფებით, მწერებით, ასევე მათი მატლებით, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვა მწერების რიცხოვნობის რეგულირებაში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით დიდ როლს ონავარა (დიდი/გიგანტური კრაზიანა) ასრულებს, თუმცა ამავე დროს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყინებს მეფეზე, კრებას.

კრაზანა კლავს ფუტკარს, იწოდეს ფუტკრიდან ნექტარს, მკვდარი ფუტკარი მიაქვს ბუდეში და კვებავს ბარტყებს. კრაზანები ძარცვავენ ფუტკრების დასუსტებულ ოჯახებს. ისინი სერიოზულად აზიანებენ სიმწიფეში შესულ ნაყოფს (ხილი, ყურძენი), ღრღნიან ახალგაზრდა მცენარეებს. ხის ნაღრღნი მასის შენებებით მიიღება ქალალდის მსგავსი მასა, რომელითაც აკეთებენ ფიჭისებურ ბუდეებს. ბუდეები ექვსაუთხედია, მასში დებენ კვერცხს და გამოჰყავთ მატლი.

ბუდეს კრაზანები აგებენ ძირი-  
თადად შენობა-ნაგებობების სხვენ-  
ში, აივნების კუთხეებში, შიფერის  
ან ფიცრის/ფანერის გადასურვების  
ქვეშ. ტყეში ბუდეებს აკეთებენ ხექ-  
ცეულებსა და ზემზელებში, დაფუ-  
ტურობებულ კუნძებში, ფულურობ-  
ში, მიწაში.

ონავარას (ევროპული კრაზანა - *Vespa crabro*) ბუდე ჩვეულებრივ რამდენიმე იარუსადაა განლაგებული, რომელიც ქაღალდის ბურთსა ან ქვის ლოდს ჰგავს. ზომით ის ხშირად ფეხბურთის ბურთის ზომისაა, მაგრამ ძლიერ კოლონიებში შეიძლება 1 მ-ზე მეტი სიმაღლისაც იყოს. ონავარას ოჯახი მდედრების, მამრებისა და მუშა კრაზანებისაგან შედგება. გვიან შემოდგომაზე და ზამთარში, მუშა და მამრი კრაზანები იღუპებიან. სხვადასხვა, ყინვისგან დაცულ ადგილებში იზამთრებენ მხოლოდ მდედრი კრაზანები.

გაზაფხულზე, აპრილის დასაწყისში მდედრები აქტიურდებიან, იწყებენ ბუდის შენებას და კვერცხდებას. უკვე ზაფხულში გამოჩეული მდედრები ე.ნ. დამუშავებლები არიან: აკეთებენ დამოუკიდებელ ბუდეს და იწყებენ ახალი კოლონიების დაარსებას, რა დროსაც შეინიშნება მათი რაოდენობის მკვეთრი მატება და განსაკუთრებული აქტიურობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ კრაზანები და მით უმეტეს გიგანტური კრაზანა, განსაკუთრებული თავგამოდებით იცავენ ბუდეს და კვების აღიარებს.

არის მოსაზრება, რომ კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა რაიონები-დან, კრაზანების სხვა ტერიტორიებზე მიგრაციის გამშვები მექანიზმი აზიური ფაროსანას (ჰალფორდფა პალყს) ნინააღმდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ჩატარებული ინსექტიციდების ტოტალური შესხურება იყოს. კერძოდ, კრაზანები დააფრთხო სადეზინფექციოდ გამოყენებულმა პრეპარატებმა, რის გამოც მათი რიცხოვნება მკვეთრად გაიზარდა დასავლეთ საქართველოს მთისწინებში, ანუ ნისლით დამუშავებული ადგილები მათთვის „საცხოვრებლად“ მიუღებელი გახადა და მათ დაიწყეს განსახლება (მიგრაცია) სუფთა, შემასხურებელი ტექნიკისათვის ნაკლებად მისადგომ და დეზინსექცია ჩაუტარდება ასეთობის ში.

სავარაუდოდ, კლიმატის ცვლილებამ ასევე შეუწყო ხელი გიგანტური კრაზიანას აღმოსავლეთ საქართველოში გაფართოვლასა და თბილისში

ადაპტირება/გამრავლების პროცესს,  
რაც ავტომატურად ზრდის კრაზა-  
ნების მიერ მოსახლეობის დაკბენის  
რისკს.

ହେଉଲେବରିଓ କରାଚାନାସ, ଗ୍ରିଗାନ୍ତିଶୁ-  
ରିସଗାନ ଗାନ୍ଧିଶ୍ଵାଙ୍ଗେବିତ ଗାରଦା ମିଳିବା,  
ରମି ମତ୍ରିକ୍ରେ ରାମଦେବନବୀପିଲ ଶ୍ବାମି ଆଜ୍ଵିଶ,  
ଅଶ୍ଵେ ଆଜ୍ଵିଶ ଦାଲିଥ୍ରେ ମର୍ମକୁଣ୍ଡ ନେତ୍ରାରି,  
ରମଧେଲିପ ଡାନ୍ତେସତ୍ତ୍ଵରିସାସ ଖେଲେବିଲ  
ଡାକ୍ଷେଗୁରିଲ କାନ୍ଦି କେର ଏଲିନ୍ଦ୍ରାଶ. ଗ୍ରିଗାନ୍ତିଶୁ-  
କରାଚାନାସ ଫ୍ରେଟକାରତାନ ଶ୍ଵେଦାର୍ଜ-  
ବିତ ଶ୍ଵେତଜ୍ଞେର ମେତ୍ରି ଶ୍ବାମି ଆଜ୍ଵିଶ, ରିଲ  
ଗାମନପ ମିଳି ଡାନ୍ତେସତ୍ତ୍ଵରା ଡାଫାମିବାନଶୀ  
ଶ୍ଵେରିନୋଥିଶ୍ଵାଲ ଡା ମତ୍ରିକ୍ରେନ୍ଦ୍ରିଶ୍ଵାଲ ଡାସିଏବାଶ  
ଗାନାପିନବେବେଶ. ଏରି ମର୍ମଶର୍କେବା, ରମି  
କେରନ୍ଦ୍ରିପାଶ୍ଵାଲ କରାଚାନାସ (ନନ୍ଦାଗାରା) ମି-  
ର ଏକ ଏକାମିବାନିଲ ଏରତଦରନ୍ଦ୍ରିଶ୍ଵାଲ ଡା ସାମଜାର  
ଡାନ୍ତେସତ୍ତ୍ଵରିସାସ ଶ୍ଵେଦିଲ୍ଲେବା ଲ୍ଯେତାଲ୍ଲୁରି  
ଶ୍ଵେଦେଗି ଘାଫଗିଲ.

დანესტრილ ადამიანს, თუ აღნიშნება ძლიერი ინტოქსიკაციის ნიშნები (პირში ე.წ. მეტალის გემო, გონების დაკარგვა, ნენევის მკეთრად დაცემა, სუნთქვის გაძნელება, ღებინება და სხვ.), პირველ რიგში, აუცილებელია, თავიდან აცილებულ იქნას ანაფილოქსური შოკის განვითარება. პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით ვენაში/კუნთში უნდა გაკეთდეს ადრენალინი (ან ანალოგი). დექსამეტაზონი, რომელსაც ადამიანები ხშირად იყენებენ, ყოველთვის არაა ეფექტური.

სუპრასტინის აბების მიღება რეკომენდებულია დაკენის შემდგომ მსუბუქად გამოხატული ალერგიული მოვლენებისას. ამათან ერთად, ჭრილობაში ინფექციის შეჭრის პრევენციისთვის აუცილებელია ნაკენი ადგილის ანტისეპტიკით დამუშავება.

კრაზანების დაფიქსირებისას დაკენის პრევენციისა და შესაბამისად, არასასურველი მოვლენების განვი-

თარებისგან თავდასაცავად, აუცილებელია მათი რაოდენობის შემცირება კველა ხელმისაწყომი მეტოდით. თუ არ არს ხანძრის გაჩენის საშიშროება, ეფექტურია ტრადიციული მეთოდი – ღამით ჩირალდნებით ბუდის გამოწვა. კრაზანგი სიძნელე-



ში მიურინავენ ცეცხლისკენ, ეწვებათ ფრთები და ვეღარ ფრენენ, თუმცა ფრთებამნვარი კრაზანების კბენის-გან თავდასაცავად მაინც სიფრთხი-ლეა საჭირო.

შეიძლება მათი განადგურება სხვა-დასხვა ქიმიური ინსექტიციდებით, სასხვაურებლის ძლიერი ჭავლით, სი-თეზური პირეტრონიდების ან ნეონ-კონტროლების ან/და მათი ნარევების გაამოყენებით (ალპაკი, ალპგორი, ანტიგო, აქტიარა, აცე, ბესტ-ალ-ფა, ბინგო, დელტატრინი, ზონდერი, ტალსტარი და სხვა). ძალზედ ეფექ-ტურია საფუტკრებში და სახლებშიც მარტივი ტიპის მისატყუარი მნერსა-ჭერი ხაფანგების გამოყენება.

მაგალითად, თეთრ გამჭვირვალე პლასტმასის ბოთლს (1-2 ლიტ-რიანი), მოვაჭრათ 1/3 და გად-მობრუნებული თავით დაბლა ჩავდგათ ბოთლში, ან ბოთლის სახურავში გავაკეთოთ კრაზანის სიგანის შესატყვისი ნახვრეტი – 2-2,5 მმ. გიგანტური კრაზანას ნი-ნაალმდეგ გამოიყენება მხოლოდ თავახდილი ბოთლი, რადგან სხვა შემთხვევაში იგი ნახვრეტში ვერ ეტევა და ასეთი მნერსაჭერის გა-კეთებას აზრი არა აქვს. ბოთლში ჩავასხათ 200-300 გრ. ოდნავ ამ-ჟავებული (ამჟავებულს ფუტკარი არ ეტანება) ტკბილი სიროვი და დავდგათ სკების სიახლოვეს. კრა-ზანა შეძრება ბოთლში და უკან ვეღარ ამოდის.

ასევე ეფექტურია, პლასტმასის თვითნაერთ მისატყუებელ ბოთლხა-ფანგში ჩაისხას 0,5 ლ ლუდში გახს-ნილი 1-2 კოვზი თაფლი. კრაზანების რიცხვონბის შესამცირებლად შეიძ-ლება მისატყუარ ნარევებს დაუუმა-ტოთ ქლორპირიფონის მცირე დოზაც.


კრაზანის ბუდეების ალმოსაჩენად, გულდასმით უნდა დავათვალიეროთ სკებიდან დაახლოებით 250-300 მეტრ დამტეტრზე მდებარე ნიადაგი, ფლა-ტები, ხები, ფულუროები, ხის ანა-ხეთქები, შენობა – ნაგებობები, მათი სხვენი, ხის სახლებზე აკრული ფიც-რები და შიფერები. თუ კრაზანის ბუ-დებები ვერ აღმოვაჩინეთ, შესაძლე-ბელია წვრილი ალისფერი/წითელი ლენტი ფრთხილად შევაბათ დაჭე-რილ კრაზანას მკერდსა და მუცელს შორის შევიწროვებულ ადგილას, გა-უშვათ და ამ მეთოდით აუცილებლად მიაგნებთ კრაზანების კოლონიას.

ონავარა ისედაც საკმაოდ დიდი ზომისაა, კარგად ჩანს და მისი ბუდის

მისაგნებად კრაზანა დამატებით მო-ნიშვნას არ საჭიროებს.

● როგორც წესი, აზიური კრაზანა ალმოსაველეთ და სამხრეთ-აღმოსავ-ლეთ აზის ტყეებსა და მთებში ბი-ნადრობს და ბზიკებითა და ფუტკრე-ბით იკვებება.

● აზიური კრაზანები, როგორც წე-სი, აპრილში ჩნდებიან, განსაკუთ-რებით კი გვიან ზაფხულსა და ადრე შემოდგომაზე აქტიურდებიან. ისინი თავს ესხმიან და ჭამენ ფუტკრებს. მათი ნესტარი დიდი და მტკივნეუ-ლია. ასევე, შეიცავს ნევროტოქსინს, რის გამოც რამდენჯერმე კბენის შემ-თხვევაში შესაძლოა, ადამიანისთვის სასიკვდილო აღმოჩნდეს მაშინაც კი, თუ ის ალერგიული არაა.



● მნერები ადამიანებისა და შინა-ური ცხოველების მიმართ აგრესიას მხოლოდ გაღიზიანების შემთხვევაში იჩენენ, ზოგიერთ სიტუაციაში მათ ადამიანებიც კი მოუკლვათ. მაგალი-თად, 2013 წელს, ივლისისა და ოქ-ტომბრის შუალედში შენსის პროვინ-ციაში მნერმა 1600 ადამიანი დააზია-ნა, 41 კი იმსხვერპლა.

● მათ მთავარ სამიზნეს მეთაფ-ლია ფუტკრების სკები ნარმოადგენს, რომლებსაც ისინი თავს ესხმიან და ხშირად ანადგურებენ.

● „აზიური გიგანტური კრაზანები მეთაფლია ფუტკრების სკებს ანად-გურებენ. მათ მცირე რაოდენობას სკის განადგურება რამდენიმე საათ-ში შეუძლია. შემდეგ კი ისინი ფუტ-კრებს თავის მოლოდნით კლავენ“, აცხადებს ვაშინგტონის დეპარტა-მენტი. „მოპოვებულ სკას ისინი სა-კუთარივით იცავენ. კრაზანები სხვა მნერებსაც ესხმიან თავს, თუმცა რო-გორც წესი, მთელ პოპულაციას არ ანადგურებენ“.

● მეცნიერთა აზრით, ადამიანებმა მწერებისგან თავდასაცავად განსა-კუთრებული ზომები უნდა მიიღონ. არსებობს სპეციალური ვებგვერ-დიც, სადაც ახსნილია, თუ როგორ უნდა დავუგოთ ხაფანგები მათ. ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია დი-დი წითელი ბანერი, რომელიც ხალხს აფრთხილებს, რომ კრაზანებთან სი-ალოვის დროს ფრთხილად უნდა იყ-ვნენ.

**წყარო:** ScienceAlert

საშიშია პრაზანების 5 სახეობა:

1. გიგანტური კრაზანა – *Vespa crabro*
2. ნახევრადუდაბნოს კრაზანა – *Vespa orientalis*

3. გერმანული კრაზანა – *Vespa germanica*

4. დიდი კრაზანა – *Polista galli-cum*
5. ჩვეულებრივი კრაზანა – *Vespa vulgaris*

აქედან საქართველოში პრობ-ლემებს ქმნის 3 სახეობა: გიგან-ტური, გერმანული და ჩვეულებ-რივი კრაზანა.

მონიტორინგი უნდა განხორცი-ელდეს შემდეგ ტერიტორიებზე: სამტრედია (ქვაყუდე), საჩხერე, ჭიათურა, წალენჯიხა; 2020 წლი-სათვის შემცირებულია – აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი; მომატებუ-ლია იმერეთის მთისნინებში, სამეგ-რელოს სხვა ტერიტორიებზე, დუ-შეთის სოფლებშიც მასობრივადაა, თბილისში – ძველი იპოდრომის ტე-რიტორიაზე; ვანი, შემოსევაა სოფელ ბზვანში; ხარაგაული (ჩოჩხათი, ლო-რეშა), ბრიტანეთში ემზადებიან შე-მოსევისათვის... ბავშვები გარეთ ვერ გამოდიან სათამაშოდ, მეურნე წაკ-ვეთში თავისუფლად ვერ ძედის (მათი ბუდეებია ფულურონიანი ხეები, მიტო-ვებული და ძველი შენობები, ნანგრე-ვები...)

უფრო საშიში სახეობების შხამისა-გან დასაცავად მეცნიერებმა შექმნეს ანტიბიოტიკივი.

გიგანტური კრაზანა ამჟამად (2020) გავრცელებულია ჩოჩხათში, ლორე-შაში (ხარაგაული), გურიისა და სა-მეგრელოს ზოგიერთ სოფელში...

**ზუალ დუბზანიძი,**  
ენტომოლოგი, სოფლის  
მეცნიერების მეცნიერების  
დოქტორი, პროფესიონი



„ინკასუაციას ეკონომიკური და სამსახურის მისამართი“ (SQIL)

№10 ივლისი, 2022 წელი

# უფასო ტექნიკური დამხმარება ეტიკეტის დაგზადებაში რძისა და რძის პროცესის მცარეობლაბისათვის

ადგილობრივი რძისა და რძის პროდუქტების მწარმონებელი კომპანიების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, SQL პროექტი გეგმავს უფასო ტექნიკური დახმარება გაუწიოს 50-ზე მეტ ბიზნესოპერატორს მაგრამ 3 პროდუქტისათვის შექმნან სურსათის ეტიკეტი.

ტექნიკური დახმარება ითვალისწინებს მიზნობრივი სურსათის ლაბორატორიულ კვლევას კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების მონაცემების დადგენის მიზნით, ასევე, ბრენდირება/დიზაინის შექმნას.

თუ ხარ სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი,  
ანარმოებ რძესა და რძის პროდუქტებს და გსურს, სურ-  
სათზე განათავსო საქართველოს კანონმდებლობასთან

შესაბამისი ეტიკეტები, დასკანერე QR კოდი და დარეგისტრირდი შემდეგ ბმულზე:



რეგისტრაცია სრულდება 2022 წლის 15 სექტემბერს,  
ადგილები შეზღუდულია.

პროექტის „ნევესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQLI) ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით.



მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზო ფასების დინამიკას 2022 წლის **ივნისის** თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზებში. პებლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.


საშუალო ფასების გამოაწერიშებისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.



03ნისის თვე / 2022


**მაისში ეტიკეტირებული ყველის მცირეოდენი გაიაფების შემდგომ ფასები კვლავ იზრდება.** კერძოდ კი, იმერული ყველის და სულგუნის ფასი ერთ თვეში **1.8%-ით** გაიზარდა. ხოლო ქარხნულ ყველზე კი მცირეოდენით შემცირდა.

ეთიკეტირებული ყველის ფასები სეპტემბრის შეზღუდვის შემდეგი მონაცემები



03ნისის თვე / 2022

**არაეტიკეტირებული ყველის ფასები აგრძარულ ბაზარში**




**არაეტიკეტირებული ყველის ფასები შედარებით მეტი ცვალებადობით გამოირჩევა, განსხვავებით ეტიკეტირებულებისა. მარტიდან მაისის ჩათვლით 20%-მდე გაიაფების შემდგომ, ივნისში აგრარული ყველის ფასმა საგრძნობლად მოიმატა.**

03ნისის თვე / 2022

წინა თვესთან შედარებით ეტიკეტირებულ მანონზე ფასები მნიშველოვნად **არ შეცვლილა.** თუმცა, როგორც წინა გამოშვებაში იყო ნახსენები, კომპანიების ნაწილი შეფუთვის წონას **20 გრამით ამცირებს.**

ეთიკეტირებული მანენის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი



ივნისის თვე / 2022

ქსელურ მარკეტებში შედარებით მყისიერი ფასების მიუხედავად, ივნისში ეტიკეტირებული საქონლის ხორცები შედარებით ცვალებადი იყო. მაგალითისთვის, ეტიკეტირებული არტალა 11.5%-ით გაძვირდა, ხოლო არაეტიკეტირებული კი მხოლოდ 1.3%-ით.

#### ეთიკეტირებული


საქონლის არტალა	11.5 %	12.9 ₷
საქონლის ძვლიანი	0.9 %	19.8 ₷
საქონლის რბილი	4.6 %	23.6 ₷
ხბოს ძვლიანი	-3.2 %	18.0 ₷
ხბოს რბილი	-3.9 %	23.9 ₷

#### არაეტიკეტირებული

საქონლის არტალა	1.3 %	10.5 ₷
საქონლის ძვლიანი	0.3 %	17.4 ₷
საქონლის რბილი	1.4 %	20.6 ₷
ხბოს ძვლიანი	1.3 %	19.4 ₷
ხბოს რბილი	-0.9 %	19.5 ₷



ივნისის თვე / 2022

ნედლი რძის ფასი გაიზარდა მთიან და სახლებებში, თუმცა შემცირდა აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში. შესაბამისად, ნედლი რძის საშუალო ფასი არ შეცვლილა.



ივნისის თვე / 2022

საქონლის საკვები გაიაფებას აგრძელებს. თვალსაჩინოა თივის ფასის 41%-ით შემცირება და მზესუმზირის შრომის 11%-იანი გაიაფება. განსხვავებით ამ პროდუქტებისგან, ფასები მზა საკვებზე, სილოსსა და ქატოზე არ შეცვლილა. ბაზარზე ასევე ხელმისაწვდომი გახდა იონკა, რომელიც მაისის შემდგომ უმეტესად ამონურული იყო.





## HACCP-ის აუდიტის დანერგვასთან დაკამირებით სამუშაო შეხვედრა

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ინიციატივითა და პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში – SQIL“ მხარდაჭერით HACCP-ის აუდიტის დანერგვასთან დაკაშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის დეპარტამენტების, თბილისის და რეგიონული სამმართველოების წარმომადგენლების მონაწილეობით და SQIL პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების ჩართულობით, სამუშაო შეხვედრის ფორმატში, HACCP-ის აუდიტის აქტი (ჩექლისტი) და მისი შევსების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა (SOP) განიხილეს.

ამავე ინიციატივის ფარგლებში განხორციელდება ქვეყნის მასშტაბით სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველოს ინსპექტორების ტრენინგი HACCP-ის აუდიტის განხორციელებაში.

HACCP-ის აუდიტის პროცედურის სწორად დაგევმვა და განხორციელება ხელს შეუწყობს სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანად განხორციელებას.

პროექტს „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით.



## პროფესიონალური მუზეუმის დოკუმენტი

მზაღლი ილიას ასული ლოგჩანიძე – სწავლული აბრონოვი, პიოლოგის მეცნიერებათა დოკტორი, პროფესიონისტი.

დაიბადა 1940 წელს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ორჯონივიძეში (გიორგეთი). 1958 წელს ოქროს მედალზე დამთავრა საშუალო სკოლა, 1967 წელს წარჩინებით საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1973 წელს, ასპირანტურა ენტომოლოგიის განხილით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ენტომოლოგიის და ზოოლოგიის კათედრის უფროს ლაბორანტად, მეცნიერ-მუშაკად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, ასოცირებულ პროფესორად. 2013 წლის მარტიდან დღემდე, მუშაობს პროფესორის თანამდებობაზე. იგი კითხულობდა ლექციებს და ატარებდა პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებს ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში, დოქტორანტურაში – სხვადასხვა სპეციალობებზე: აგრონომია, მცენარეთა დაცვა, სატყეო; ბიოლოგიის, ეკონომიკის, მებალეობა-მეცნიერების, აგროქიმია-ნიადაგმცოდნების, ჰიდრომელიორაციისა და ვეტერინარია-მეცხველეობის სპეციალო-

ბებზე (საგნებში: უხერხემლოთა ზოოლოგია, ხერხემლიანთა ზოოლოგია, ზოგადი ენტომოლოგია, სატყეო ენტომოლოგია, სამკურნალო მცენარეთა მაგნებლები, ზოგადი და სასოფლო-სამეურნეო აკაროლოგია და სხვა).

გამოქვეყნებული აქვს 350-მდე სამეცნიერო ნაშრომი, 5 სახელმძღვანელო (მათ შორის სახელმწიფო პრემია მოიპოვა აგრონომიაში წლის საუკეთესო ნაშრომმა „მცენარეთა დაცვა“, შედგენილი აქვს სასწავლო კურსის 10 ელექტრონული სახელმძღვანელო (მათ შორის ენტომოლოგია, ენტომოლოგია-ზოოლოგიის საფუძვლებით), სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმთავრესი მავნებლები, მარცვლეული და პარკოსანი კულტურების მავნებელ-დაავადებათა ატლასი და სხვ.).

მოღვაწეობის 43 წლის განმავლობაში ქალბატონმა მზალომ შექმნა ეპოქა, რომელიც ერთი ქალის შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა პატიოსანი ადამიანის შრომის კლასიკური მაგალითია. მისთვის არ



არსებობდა ავტორიტეტი, ცენზი და წარმომავლობა, რომელსაც შეიძლება გავლენა ექონია სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე. მისთვის მთავარი, მხოლოდ სწავლა და სტუდენტის შინაგანი კულტურა იყო, რაც უმეტესი ლილად სტუდენტის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებაში ეხმარებოდა. პროფესორი მზალო ლობჭანიძე საქართველოს ენტომოლოგიის მთავარი მამოძრავებელი ძალა და დედაბოძია.

დღეს, არსებულ რთულ ფიტოპათოლოგიურ და ენტომოლოგიურ სიტუაციის ფლობს, აკონტროლებს და ღებულობს არაორდინალურ ღონისძიებებს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამას მოწმობს მისი მონაწილეობა საქართველოს მაშტაბით სას. სამეურნეო მავნებლების გავრცელების არეალის შესწავლასა და შემდგომ მონიტორინგში.

იმვათათა ადამიანი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სარგებლობდეს შეულახავი რეპუტაციით. დროის ცვლილებებს და დაუსრულებელ რეფორმებს მის პრინციპებზე რაიმე სახის ზემოქმედება არ მოუხდებია.

პროფესორი მზალო ლობჭანიძე დღემდე დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს სტუდენტებში. ამის დასტური გახლავთ 2022 წლის 28 მაისს სხვადასხვა თაობის სტუდენტების მიერ ორგანიზებული საზეიმო შეხვედრა, რომელიც ქალბატონ მზალოს 43 წლინ პედაგოგიურ მოღვაწეობას და ყოფილ სტუდენტებთან უწყვეტ მეგობრობას მიეძღვნა.

რეაქტორები



ავრარული უნივერსიტეტის პროფესორი მზალო ლობჭანიძე სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა. პროფესორს დიპლომი გადაუცა აგრარულ დარგში 2017 წლის საუკეთესო სახელმძღვანელოსთვის „მცენარეთა დაცვა“.

სახელმძღვანელო დაინწერა განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკრეტის ფარგლებში და სოფლის მეურნეობის მცნობერებათა აკადემიის მხარდაჭერით.

# როგორი სოფლის გაურეობაა

დღეისათვის მსოფლიოს ცინაში დგას სერიოზული გამოწვევები საკვების მომსახურების გასასრულდებოւთ და მიწოდებასთნ დაკავშირდებოთ. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეფასებით, 2050 წლს დაგჭირდება 60%-ით მეტი საკვები, 30დღე დღეს.

სურსათზე მზარდი მოთხოვნილება დაკავშირებულია, არა მხოლოდ მოსახლეობის ზრდასთან, არამედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შემცირებასთან, კლიმატის ცვლილებებთან და ადამიანების მიერ კვების პროდუქტების გამოყენების ზრდასთნ. შესაბამისად, საკვების მოთხოვნილებასთან დაკავშირებული გამოწვევები უნდა გადაიჭრას სოფლის მეურნეობაში „ჭკვანი“ ტექნილოგიებისა და ტექნიკური პროგრესის გზით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგინს რომოგლების გამოყენება.

რა არის რობოტი? უმარტივესი განმარტებით, რობოტი არის მანქანა, რომლის მოვალეობაა შეასრულოს ერთი ან რამდენიმე დავალება და-მოუკიდებლად, სწრაფად და მაღალი სიზუსტით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რობოტი, ანუ აგრო-რობოტი, გამოიყენება სასოფლო-სა-მეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. რობოტების გამოყენება ხდება მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების სამუშაოებზე, ხეხილის ნაყოფების შეგროვებაზე და კრეფაზე, ავტომატიზირებული თვითმართვად ტრაქტორებზე, მცენარეთა სასხლავ და შემსხრულებელ მანქანებში და სხვ. მეცხოველეობაში რობოტები ახდენენ ცხვრების პარსვის სამუშაოებს, ძროხების წველის ოპერაციებს.

ცხოველების დაბანვის, კასტრაციის  
ოპერაციებს, ჯანმრთელობის მონი-  
ტორინგადს და სხვ.

რობოტიზირებული სისტემები შეიძლება დავყოთ, ორ ჯგუფად: ავტომატიზირებული სისტემები და რობოტები. ავტომატიზირებული სისტემები მუშაობენ ავტონომიურად და ოპერატორის მონაწილეობით; ხოლო რობოტები არ საჭიროებენ ადამიანის დახმარებას. განსაკუთრებით პოპულარულია ავტომატიზირებული სათბურები, რომლებიც მცენარის მოვლის ოპერაციების გარდა ასრულებენ მოსავლის ალების ოპერაციას.

რობოტი-თომ, (იხ.სურ.12). მცი-  
რეგაბარიტიანია და იმყოფება მუდ-  
მივ მოძრაობაში, ის ათვალიერებს  
ნათესებს, განსაზღვრავს მცენარეთა  
მდგომარეობას ავტომატურად ბრუნ-  
დება ბაზაში და ტოვებს მონაცემებს  
მჯგნარეთა მთავრობაშის შესახებ.

მიმდინარე წლის 27-28 მაისს  
ქ.თბილისში სოფლის მეურნეობის  
აკადემიის თაოსნობით ჩატარდა სა-  
ერთაშორისო კონფერენცია თემაზე:  
„სოფლის მეურნეობის მექანიზაცია  
და ტექნოლოგიები ევროპაში და პერ-  
სპეციფიკები“, რომელშიც მონაწილე-  
ობა მიიღეს ევროპის ქვეყნების (საფ-  
რანგეთი, უნგრეთი, ჩეხეთისლოვაკია,  
ლატვია, შვედეთი და სხვ.) მეცნიე-  
რუბმა. რომელთა მიერ წარმოადგი-

ლი იყო მათ ქვეყნებში გავრცელებული თანამედროვე „ჭკვიანი“ ტექნოლოგიები და რობოტები.

მეცნიერთა აზრით, ეჭვგარეშეა  
რომ რობოტიკას გააჩნია შესაძლებე-  
ლობები გადაჭრას თანამედროვე  
სოფლის პრობლემები. თვითმართვა-  
დი ავტომატიზირებული სისტემების  
გაჩენა იძლევა მცირე ინტელექტუა-  
ლურ მანქანებზე დაფუძნებული სა-  
სოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის  
სრულიად ახალი ასორტიმენტის გან-  
ვითრების შესაძლებლობას, რომელ-  
საც შეუძლია ჩაანაცვლოს ადამია-  
ნის ფიზიკური და დამღლელი შრო-  
მა. ასეთი სისტემების გამოყენება  
აღმოფხვრის მუშა ხელის დეფიციტს  
და უზრუნველყოფს სასოფლო-სა-  
მეურნეო სამუშაოების შესრულების  
სტაბილურობას გლობალური ეპიდე-  
მიების ჰერიონდებშიც კი, რომლის ტი-  
პიური მაგალითია უკანასკნელ ჰერი-  
ოდში მსოფლიოში გავრცელებული  
**Covid-19-ის ეპიდემია.**


საერთაშორისო კონფერენციაზე  
ქ.თბილისში საინტერესო მასალები  
იქნა წარმოდგენილი ჩეხეთის სოფ-  
ლის მეურნეობის მეცნიერებათა აკა-  
დემიდან, პროფესორ ფრანგიშევ  
კუმჩალას მიერ, რომელშიც სოფლის  
მეურნეობის განვითარების პრობ-  
ლემების პარალელურად მოცემულია  
რობოტიზაციის განვითარების სა-  
კითხები მათ მიერ წარმოდგენილია,  
საველე რობოტი, რომელიც შემუშა-  
ვებულია პარალის უნივერსიტეტის სა-  
ინჟინრო ფაკულტეტის სასოფლო-სა-  
მეურნეო მანქანების დეპარტამენტის  
რობოტული ჯანის მიერ (იხ. სურ. 13)



სურ. 1. უპილოტო ტრაქტორი „уролец-224“. გამოფენაზე „არმია-2020“



სურ. 2. ავტონომიური საკელე რობოტი „ამაზონენ-ვერ-კე“. კომპანია (*Amazonen-verke*)



სურ. 3. საველე რობოტი „Xaver”, რომელსაც გააჩნია გამომთხვესი აპარატი და 20 ლიტრიანი ბუნკერი თესლისათვის



სურ. 4. რობოტი ტრაქტორი „Agbot”, რომლის დანიშნულებაა ნიადაგის კულტივაცია და ღრმა გაფხვიერება



სურ. 5. აგრორობოტი, რომლის დანიშნულებაა მარწყვის მოსავლის აღება, მას გააჩნია 24 რობოტიზირებული მანიპულიატორი



სურ. 6. ახალი საველე რობოტი „Bluebot”, რომლის დანიშნულებაა შექრის ჭარბლის მოვლა-მოყვანის პროცესის ავტომატიზაცია



სურ. 7. რობოტ-შემსხურებელი „Jacbo Arbus 4000 iav”, რომელიც აღჭურვილია 132 ც.ძ.დ დიზელის ძრავით. ავზი შესასხურებელი სითხისათვის იტევს 4000 ლიტრს




სურ. 8. რობოტი „Rowesus”, რომლის დანიშნულებაა სარეგელების მოცილება კულტურული მცენარის ირგვლივ



სურ. 9. ახალი რობოტი „Farmdroid FD 20”, რომლის დანიშნულებაა შაქრის ჭარბლის, ხახვის და სხვ. ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის ოპერაციების შესრულება



სურ. 10. ავტონომიური პლატფორმა „Robotriks”, რომელიც გამოიყენება ბოსტნეულის, ხილის ტრანსპორტირებისთვის, ასევე შეიძლება გამოიყენებულ იქნას ფარცხვისა და სხვა მსუბუქ სამუშაოებზე



სურ. 11. მოდერნიზებული რობოტი „Korekhi Roamlo”, რომელსაც შეუძლია გადაიტანოს 300 კგ. ტვირთი, ნიადაგზე დაწოლა შეადგენს  $0.2 \text{ კგ } \frac{\text{მ}}{\text{მ}^2}$




სურ. 12. რობოტი-„Tom”, რომელსაც გააჩნია მცენარეთა მონიტორინგის ფუნქცია



სურ. 13. საველე რობოტი, რომელიც შემუშავებულია პრალის უნივერსიტეტში

საერთაშორისო კონფერენციაზე, ქ.თბილისში ვრცელი მასალა წარმოადგინა ბ.ამბრუსმა, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, რომელიც ასევე მოიცავდა რობოტიზაციის საკითხებს. მათი განმარტებით რობოტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც აღიქვამს და აანალიზებს დინამიურად ცვალებადი გარემოს მახსასიათებლებს და ერევა ამ გარემოში ადაპტირების გზით. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა კომუნიკაცია და თანამშრომლობა. სასოფლო-სამეურნეო რობოტს, ისევე როგორც ნებისმიერ რობოტს უნდა ჰქონდეს სამი მნიშვნელოვანი ფუნქცია: ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, გადაწყვეტილების მიღება და დავალების შესრულება. უნგრელი სპეციალისტების მიერ დამუშავებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რობოტი (იხ. სურ. 14)

აღნიშნულ კონფერენციაზე, ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბაიბა რივზას მიერ წარმოდგენილი იყო „ჭკვიანი“ ფერმერული მეურნეობის მაგალითი სადაც იყენებენ, ზუსტ



სურ. 14. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რობოტი (უნგრეთი)

მონაცემებზე დაყრდნობით, „ჭკვიან ტექნოლოგიებს“, მათ შორის წარმოდგენილი იყო მათ მიერ დამუშავებული რობოტები (იხ. სურ 15, სურ. 16)


რობოტული კონსტრუქციები იძლევა საშუალებას დიდი გაბარიტების მქონე და მძიმე მანქანების ჩანაცვლება მოხდეს უფრო მცირევაბარიტიანი რობოტული ტექნიკით: მათი ეფექტურობა და მნარმოებლობა უფრო მაღალი გახდება. ავტომატიზირებული რობოტები კონსტრუქციების გამოყენება აოპრატორებისგან მოითხოვს მეტ განათლებას და უნარჩვევებს.

სოფლის მეურნეობის რობოტიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს იაპონელმა მეცნიერებმა. იაპონიის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირობი დაიდოს განცხადებით, ავტომატიზირებული ფერმები იაპონიის სოფლის მეურნეობის მომავალია. ფერმებში ასევე გამოჩნდა უპილოტო სასოფლო-სამეურნო ტექნიკა. ავტომატიზირებული ფერმებისა და 20 სხვადასხვა ტიპის რობოტის შექმნისათვის იაპონიის ხელისუფლება უახლოეს წლებში დაახლოებით 36 მილიონ დოლარს დახარჯავს.


როგორც ჩვენს მიერ მოწოდებული მასალიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება, მათ შორის რობოტული ტექნიკის სრულყოფა და მათი გავრცელება ფართო მასშტაბით. სასურველია ამ მიმართულებით გარკვეული პროგრამები და შესაბამისი დაფინანსება გათვალისწინებულ ი ქნას საქართველოში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, რომლის პირდაპირი მოვალეობაა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება და მისი უზრუნველყოფა თანამედროვე ე.წ. „ჭკვიანი“ ტექნოლოგიებით და შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით.

**ნუზზარ განვითარება**  
აგროსაინუინრო კვლევის  
სამსახურის უფროსი, ტექნიკის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი;

**გარიზა გამარჯვებული,**  
აგროსაინუინრო კვლევის  
სამსახურის სპეციალისტი  
სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;



სურ. 15 რობოტი რომელიც ასრულებს



სურ. 16 რობოტი რომელიც გამოიყენება ბალის მონიტორინგს სარეველების ლიკვიდაციისათვის



სხედან მარცხნიდან მარჯვენივ: მამია კვირკველია, შოთა გოლიაძე, ანნა სიხარულიძე, ლუსია ტრელიცეაია, ერმილე თავა-მოშვილი, სიმონ ფირცხალაიშვილი, მექი ბზიავა, ვატანგ ჯაჭველი, დიმიტრი პატარავა, ვიკი გაგუა, სილევან მგალობლიშვილი, ვარლამ ჯაში, უჩა ურუშაძე, ქენია თალაკვაძე.

## ერთი ფოტოს ისტორია

„ახალგაზრდებს იდეალი სცირდებათ, ახილებაც არ უძღა დავიცინეოთ გამორჩეული ადამიანები, რომლებმაც საპუთარი აღგილი შრომითა და გონიერებით დაიგვიძლეს საზოგადოებაში. ჩვენ თუ მათი საქმეებით ვი-ახაზოთ, ცორება გათხე გაკეთდება.“

### გარგარიტ ტეტერი.

საქართველო ყოველთვის ამაყობ-და და იამაყებს მისი ისტორიული წარსულით. ამის ნათელ დადასტურებას თუნდაც ეს ფოტო წარმოადგენს. გასული საუკუნის მეორე წარმოადგენს. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ განეული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მთლიანად მიეძღვნა ქვეყანაში სუბტროპიკული მემცენარეობის (მეჩაიერია, მეციტრუსეობა და სხვა) არნა-სულ წარმოებას, რითაც საქართველო მსოფლიო ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის მეხუთე მექენე ადგილს იკა-

ვებდა, ინსტიტუტში მისი დაარსების (1930 წ.) დღიდან მრავალი სახელოვანი ქართველი მეცნიერი აღიზარდა, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ინსტიტუტი თავისი არსებობის 80 წლის მანძილზე წარმოადგნდა ახალგაზრდა მეცნიერ-სპეციალისტების აღზრდის საუკეთესო კერას, ძეველსა და ახალგაზრდა თაობას შორის დამკვიდრებული ურთიერთაციისცემა და სინქრონული თანაარსებობის საუკეთესო მაგალითს.

ეს ფოტოც ამაზე მიუთითებს. იგი გადაღებულია 1967 წლის სექტემბერში, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და

ასპირანტთა თეორიული კონფერენციის გამართვის პერიოდში. ფოტოზე ბევრი სახელგანთქმული მეცნიერი და ახალგაზრდა სპეციალისტია გამოტანილი. სამწუხაროდ დღეისათვის მათი უმრავლესობა ცოცხალი არაა, თუმცა მათი მეცნიერული შრომები არსებობას განაგრძობს.

ნუ დავივინებეთ წარსულს, პატივი მივაგოთ მათ სულებს. დღევანდელმა თაობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ანასეულის, ამ ისტორიული ადგილ-მდებარეობის შენარჩუნებისათვის. საქართველო დღეს განსაცდელის წინაშეა და ამ უნიკალურ ადგილას ფუნქციონირებადი სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ხელშეწყობა ქვეყნის ხელისუფლების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

**ზურ გამოიხილავ**


### კვების მურაბის წარმოების კლასიკური ტექნიკობი

მურაბა საკონდიტორ ფირმის კონსერვი, რომელიც დამზადებულია ხილ-კეცირისგან, მოხარულია შაბართან ან შაბარ-ჰადაგის სიროვანი ისე, რომ მზა პროცესით წარმოები არ იყოს ჩახარული, ამასთან შენარჩუნებული ჰქონდეთ ფორმა და შემლებისდაცვარად მოცულობა.



სიროვანი უნდა იყოს სქელი, ბლანტი, მაგრამ თავისუფლად გამოიყოფოდეს ნაყოფებისგან; მურაბის ჩაშაქრება ან ჟელირება დაუშვებელია. ნაყოფების და სიროვანის თანაფარდობა – 1:1.

მურაბა, როგორც წესი, მზადდება მწიფე ხილ-კენკრისგან, გამონაკლისია ბერძნული კაკალი, რომელიც გამოიყენება მწვანე სახით, რძისებრი სიმნივის სტადიაში და ხურტკუმელი.



● მევახე ნაყოფის უჯრედებს აქვთ პატარა ვაკუოლები, რომლებიც მთლიანად შევსებულია პროტოპლაზმით; შაქრის სიროფის მოქმედებით ასეთ უჯრედებში შეიმჩნევა ძლიერი პლაზმოლიზი, რის შედეგადაც ნაყოფის მოცულობა მკვეთრად კლებულობს და შესაბამისად – მზა პროდუქციის გამოსავლიანობაც; ნაყოფის კონსისტენცია უხეშია და ასეთ მურაბაში სიროფი აღვილად უელირდება.

● გადამწიფებული ხილი და კენკრა კი ხარშვისას ადვილად იშლება, რაც მიუღებელია მურაბის ნარმოებაში – ნაყოფის ფორმა და მთლიანობა შენარჩუნებული უნდა იყოს.

